11. მღვიმეების მონახულებას შესაბამისი აღჭურვილობისა და საფუძველზე შეძლება.
 ა) მომზადების; ბ) დამზადების; გ) შესრულების
12. თუ ქვეყნის ტურიზმის განვითარება წარმოადგენს, მაშინ სახელმწიფომ მას მხარი უნდა დაუჭიროს.
 ა) კრიტერიუმს; ბ) პრიორიტეტს; გ) სეგმენტს.

2. დააკავშირეთ სიტყვები:

1. მსოფლიო	ა. სადგური
2. რკინიგზის	ბ. პრიორიტეტი
3. ღამის	გ. გრძნობა
4. საჰაერო	დ. მასშტაბით
5. საავტომობილო	ე. ხომალდი
6. ტურის	ვ. ხარისხი
7. სწრაფი	ზ. დაგეგმვა
8. შესაბამისი	თ. მიზანი
9. ქვეყნის	ი. ტრასა
10. მოგზაურობის	კ. აღჭურვილობა
11. საოცარი	ლ. გათევა
12. მომსახურების	მ. გადაადგილება

3. შესაბამის ადგილას ჩასვით თანდებულები: გე, თან, ში, თვის, დან, მდე, შორის

1. თბილისი..... მესტიის მიმართულებით ახალი რეისები დაინიშნა, რაც სვანეთა..... მგზავრობის დროს ძალიან შეამცირებს.
2. რეისებს კანადური კომპანია ყოველდღიურად ასრულებს, შაბათ-კვირას კი დღე..... ორჯერ.
3. აეროპორტის გახსნა რეგიონ..... ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.
4. ზამთრის სეზონ..... სამთო-სათხილამურო კურორტებ..... მოთხოვნა ძალიან მაღალია.
5. სათხილამურო სპორტზე უკეთესი გასართობი ჩემ..... არ არსებობს.
6. ზამთრის არდადეგებ..... მეგობრებ..... ერთად გუდაურ..... მინდა წასვლა.
7. ოცდამეერთე საუკუნე..... გადაადგილების პრობლემა აღარ არსებობს.
8. თბილისსა და ბათუმს..... რეგულარული შიდა რეისები არსებობს.
9. ჯომარდობა საქართველო..... გავრცელებული ექსტრემალური ტურიზმის ერთ—ერთი სახეობაა, რომელიც სწრაფ მდინარეებ..... იმართება.
10. შეხვედრა..... ტურიზმში არსებულ გამოწვევებ და მათი გადაჭრის გზები..... ისაუბრეს.
11. მთებსა და ზღვის სანაპიროს ხის ლამაზი კოტეჯები დგას.
12. ავტომობილების სერიული წარმოება 1891 წლი..... იწყება.
13. პირველი რკინიგზის ამოქმედებას..... ერთად სასტუმროები და ღამის გასათევი ადგილები გაჩნდა რკინიგზის სადგურებ..... .
14. ავტომობილები და საჰაერო ტრანსპორტი რკინიგზისა..... გამოწვევად იქცა.

4. აწარმოეთ დანიშნულების სახელები სა-ო პრეფიქსებით, შემდეგ შეადგინეთ წინადადებები მათი გამოყენებით:

ნიმუში: რკინიგზა – სარკინიგზო; თბილისი-ბაქოს სარკინიგზო ხაზი 1883 წელს შევიდა ექსპლუატაციაში.

ჰაერი

.....

ზღვა

.....

სტუმარი

.....

ხმელეთი

.....

ვაჭარი

.....

მანქანა

.....

ხალხი

.....

თხილამური

.....

5. შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით, შემდეგ კი ზმნები ჩასვით წინადადებებში:

წარსული	ახლანდელი	მომავალი	უნდა/შეიძლება	თურმე
იმოგზაურა	მოგზაურობს	იმოგზაურებს	იმოგზაუროს	უმოგზაური
შეასრულა				
	გადაადგილდება			
			დაამატოს	
ამოქმედდა				
				დაუწყია
	აფართოებს			
			გადაკვეთოს	

		დაათვალიერებს		
დაწესდა				
				აფრენილა
			შეამციროს	
გაიმართა				

ნიმუში: ჩემი მეგობარი ბევრ ქვეყანაშია ნამყოფი, მაგრამ ტანზანიაში არ უმოგზაურია.

1. ტურისტულ ზონებში ავტომობილებისთვის სიჩქარის ლიმიტი უნდა
2. ფინანსური პრობლემების გამო საავიაციო კომპანია ფრენების რაოდენობას
3. სათანადო მომზადების შემთხვევაში ტურისტები მღვიმეებს
4. ტურისტულ ზონაში ვიწრო გზა და გზის სავალი ნაწილები შეაკეთეს.
5. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ოფისში მომავალ კვირას ტუროპერატორებთან შეხვედრა
6. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ტურისტული მიზნით 6 მილიონზე მეტმა ადამიანმა.
7. მომხმარებელთა სურვილისა და საჭიროების გათვალისწინებით საქართველოს რკინიგზას ბათუმის მატარებლებზე თურმე ვაგონები
8. საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის ქვეყნებში მოკლევადიანი ვიზიტით უვიზოდ მიმოსვლის კანონი
9. ისტორიულ ხიდზე სატვირთო ავტომობილები, რის გამოც იგი შესაძლოა დაზიანდეს.
10. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენითი სამუშაოები ცნობილმა კომპანიამ უნდა
11. ტურისტული კომპანია საზაფხულო სეზონისთვის მზადებას
12. მსოფლიოში პირველი ადამიანის მიერ მართული ძრავიანი აპარატი ჰაერში თურმე 1903 წელს

6. გადაიყვანეთ წინადადებები სხვადასხვა დროში:

ნიმუში: გუშინ: ტურისტებმა საინტერესო ადგილები დაათვალიერეს.

დღეს: ტურისტები საინტერესო ადგილებს ათვალიერებენ.

ხვალ: ტურისტები საინტერესო ადგილებს დაათვალიერებენ.

1. გუშინ: სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში ტურისტების რიცხვი გაიზარდა.
დღეს:
ხვალ:
2. გუშინ: ტურისტთა მომსახურების ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა.
დღეს:
ხვალ:

3. გუშინ: ბოლო წლებში სამთო-სათხილამურო კურორტები საკმაოდ განვითარდა.

დღეს:

ხვალ:

4. გუშინ: ტურისტული ასოციაციების წამომადგენლებმა სიახლეებზე ისაუბრეს.

დღეს:

ხვალ:

5. გუშინ: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ტუროპერატორებს შეხვდა.

დღეს:

ხვალ:

6. გუშინ: სახელმწიფომ ტურისტული ოპერატორებისათვის რეგულაციები გაამარტივა.

დღეს:

ხვალ:

7. გადაიყვანეთ ზმნები წარსულ დროში:

1. შეხვედრას ყველა დაინტერესებული პირი და კომპანია ესწრება.

2. ტურიზმის სფეროში ბევრი ახალგაზრდა საქმდება.

3. ტურიზმის სფეროს წარმომადგენლები არსებულ გამოწვევებზე საუბრობენ.

4. სასტუმროების მომსახურების ხარისხი საგრძნობლად უმჯობესდება.

5. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია რეკომენდაციებს ითვალისწინებს.

6. ბოლო დროს საცობების გამო ქალაქში გადაადგილების პრობლემა იქმნება.

8. ჩასვით ზმნები საჭირო ფორმაში და გადაიყვანეთ წინადადებები შესაბამის დროში. გამოიყენეთ თურმე, უნდა

ნიმუში: ტურისტების რაოდენობის ზრდამ მომსახურების ხარისხიც გააუმჯობესა.

თურმე ტურისტების რაოდენობის ზრდას მომსახურების ხარისხიც გააუმჯობესებია.

უნდა ტურისტების რაოდენობის ზრდამ მომსახურების ხარისხიც უნდა გააუმჯობესოს.

1. ჯგუფმა იმერეთის რეგიონის უცნობი მღვიმეები დაათვალიერა.

2. ტურისტების უმრავლესობამ სვანეთსა და ყაზბეგში იმოგზაურა.

3. ტუროპერატორებმა სტუდენტებისათვის ახალი სერვისები დაამატეს.
.....
.....
4. კობი-გუდაურის მონაკვეთზე სამხრეთ კავკასიაში ყველაზე გრძელი საბაგირო ამოქმედდება.
.....
.....
5. თბილისის მოსახლეობის დაახლოებით 16 % მეტროთი გადაადგილდება.
.....
.....
6. პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოს მთის კურორტების განვითარების კომპანია ასრულებს.
.....
.....
7. ახალი 7,5 კმ სიგრძის საბაგიროს მშენებლობაზე მუშაობა უკვე დაიწყო.
.....
.....
8. ტუროპერატორები მათი მოქმედების სფეროს კიდევ უფრო აფართოებენ.
.....
.....
9. ხორვატიის ქალაქ დუბროვნიკში ტურისტების რაოდენობაზე ლიმიტი დაწესდა.
.....
.....
10. ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში ტურისტული ასოციაციებისა და ტუროპერატორთა შეხვედრა გაიმართა.
.....
.....

9. გაიხსენეთ ნასწავლი ზმნების თავისებურებები და წინადადებებში ჩასვით სათანადო ფორმით:

თქვა / ამბობს / იტყვის

უთხრა / ეუბნება / ეტყვის

1. ნანა ხვალ , ვინ წამოვა ჩვენთან ერთად სალაშქრო ტურზე.
2. გიდი ტურისტებს , რომ მღვიმეში შესვლა დროებით აკრძალულია.
3. ხალხი , რომ მატარებლით მგზავრობა საიმედო და ნაკლებ სტრესულია.
4. გიორგიმ მეგობრებს საინტერესო სათავე გადასავლო ტურის შესახებ.
5. სტუმარმა , რომ მოიხიბლა სვანეთისა და რაჭის ბუნებით.
6. რას მინისტრი ტურისტული ასოციაციების წარმომადგენლებს?

10. წიკითხეთ ტექსტი. მონიშნეთ სწორი/არასწორი ინფორმაცია.

შეხვედრა ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებთან

„საქართველოში ტურისტების რაოდენობა იზრდება. 2018 წლის იანვარ-ივლისში ის 20 პროცენტზე მეტად გაიზარდა. ჩვენი მიზანია, ტურისტების რაოდენობის ზრდასთან ერთად ტურისტული მომსახურების ხარისხიც გავაუმჯობესოთ,“ – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა საქართველოს ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ.

შეხვედრას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელიც დაესწრო.

შეხვედრაზე ტურისტული ასოციაციებისა და ტუროპერატორთა წარმომადგენლებმა სექტორის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ტურისტული სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრას სასარგებლო და დადებითი შედეგის მომტანი უწოდა და განაცხადა:

„ჩვენ მოვისმინეთ მოსაზრებები და ვაპირებთ ვიმოქმედოთ რეკომენდაციების მიხედვით.“

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ისეთ მიმართულებებზე, როგორებიცაა ტურიზმის სექტორისთვის პროფესიული კადრების მომზადების გაუმჯობესება, ტურისტული კომპანიებისთვის რეგულაციების გამარტივება, ტურისტული ტრანსპორტის რეგულირება და სხვა.

„ჩვენ ვაპირებთ გავაგრძელოთ ასეთი შეხვედრები და ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, შევექმნათ ტურისტულ სექტორთან დაკავშირებული მრჩეველთა საბჭო, რეგულარულად მოვისმინოთ სექტორის მონაწილეებისგან წინადადებები და მათ ყურადღებას მივაქცევთ,“ – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

	სწორია	არასწორია
შეხვედრას მინისტრი, ტურისტული ასოციაციები და ტუროპერატორთა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.		
მინისტრის განცხადებით, ტურიზმის სექტორთან რეგულარული შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება		
ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შეიქმნება ტურისტულ სექტორთან დაკავშირებული მრჩეველთა საბჭო		
ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ასეთი შეხვედრები დადებითი შედეგის მომტანი იქნება		
მრჩეველთა საბჭოს შექმნის იდეა მინისტრს ეკუთვნის		
შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ტურიზმის სექტორისთვის პროფესიული კადრების მომზადებაზე, ტურისტული ტრანსპორტის რეგულირებასა და სხვა საკითხებზე.		

შემაჯავებელი ტესტი 1 (თავები 1, 2, 3)
(100 ქულა)

1. დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვა და განმარტება:

10 ქულა

1. მეწარმე	ა. მცირე, პატარა სივრცის კლიმატი
2. ნადიმი	ბ. სამრეწველო და სავაჭრო საწარმოს მფლობელი, პატრონი
3. ნომერი	გ. ნიშან-თვისება
4. მიკროკლიმატი	დ. სასტუმრო, ჰოტელი, გესტჰაუსი...
5. სპელეოტურიზმი	ე. მღვიმეების დათვალიერება
6. განთავსების საშუალებები	ვ. დადებითი ემოცია, შეგრძნება
7. ექსტრემალური	ზ. რაშიც ბევრ თანხას იხდიან
8. შთაბეჭდილება	თ. დიდი წვეულება, საზეიმო სუფრა
9. მაღალანაზღაურებადი	ი. სათავგადასავლო, რისკფაქტორებიანი
10. მახასიათებელი	კ. ოთახი სასტუმროში

2. დაუკავშირეთ ერთმანეთს სინონიმები – მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები:

15 ქულა

1. დანიშნულების ადგილი	ა. მოგზაური
2. დაბატილება	ბ. ღირებულება
3. ტურისტი	გ. მოსაზრება
4. გაკეთება	დ. მნიშვნელოვანი
5. განტვირთვა	ე. სხვადასხვანაირი
6. შეხედულება	ვ. უნიკალური
7. განსაკუთრებული	ზ. მიმართულება
8. ცნობილი	თ. ლოკალური
9. ფასი	ი. სერვისი
10. შესაძლებლობა	კ. პოტენციალი
11. საგულისხმო	ლ. დასვენება
12. განსხვავებული	მ. დანიშნულების პუნქტი
13. ადგილობრივი	ნ. მოწვევა
14. მომსახურება	ო. პოპულარული
15. გემი	პ. შექმნა

3. მოცემულ წინადადებებში ხაზგასმული სიტყვა შეცვალეთ შესაბამისი ანტონიმით:

15 ქულა

1. ტურისტებისათვის საინტერესო იყო ქვეყნის უახლესი ისტორია.
2. სასტუმროს მცირე ტერიტორია უჭირავს.
3. დათვალიერება იწყება საღამოს ექვს საათზე.
4. ექსკურსიის დასასრული მეტად საინტერესო აღმოჩნდა.
5. დამთვალიერებლებისათვის მუდმივი გამოფენა არის მოწყობილი.
6. ტურისტთა შემოსვლა წელს საგრძნობლად გაიზარდა.
7. ტერიტორია ფოთლოვანი ტყით არის დაფარული.
8. წელს ტურისტთა გაცილებით მეტი რაოდენობა შემოვიდა ქვეყანაში.
9. აზიის ბევრ ქვეყანაში სტაბილური ვითარებაა.
10. კმაყოფილმა ტურისტებმა ადგილი დატოვეს.
11. ხარისხიანი მომსახურება განსაზღვრავს ტურისტების რაოდენობას.
12. სასტუმრომდე ფართო შესასვლელია.
13. რეგიონში რამდენიმე კეთილმოწყობილი სასტუმროა.
14. გასულ წელს წინა წელთან შედარებით ტურისტთა კლებადი შემოსვლა დაფიქსირდა.
15. ტურისტებს აინტერესებთ განვითარებულ ქვეყნებში მოგზაურობა.

4. შეარჩიეთ სწორი სიტყვა:

10 ქულა

1. შიდა ტურიზმისათვის დამახასიათებელია (განმეორება, განმეორებითობა)
2. ამ ქალაქში ჩემი იყო ყველასათვის ცნობილი ადამიანი, საუკეთესო პიროვნება და ექიმი ალექსანდრე გეგენავა. (მასპინძელი, მასპინძლობა)
3. ტურისტებმა ქალაქის ყველა დიდი ინტერესით დაათვალიერეს. (ღირსშესანიშნავი, ღირსშესანიშნაობა)
4. ჩვენი ქვეყნის სწორედ მის მრავალფეროვნებაშია. (
5. ძეგლებისა და ადგილების საერთაშორისო საბჭო არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მთელ მსოფლიოში იცავს კულტურულ და ისტორიულ ძეგლებს. (ღირსშესანიშნავი, ღირსშესანიშნაობა).
6. ქუთაისში ტურიზმის საკითხების შესახებ სკოლა ჩატარდა, რომელსაც ბევრი დაინტერესებული პირი დაესწრო. (სემინარი, სემინარი)
7. საქართველოს რამდენიმე რეგიონში კლიმატის გამო არსებობს ტურისტული მომსახურების , რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეულ პერიოდებში აქ ტურისტების მიღება შეუძლებელია. (სემინარი, სემინარი)
8. ქართველთა ყოფაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სტუმარმასპინძლობის ტრადიციას. (მასპინძლობის, მასპინძლის)
9. იმ სტუდენტებისათვის, რომლებმაც ვერ შეძლეს გამოცდის ჩაბარება, ორშაბათს ჩატარდება გამოცდა. (განმეორებითი, განმეორება)

10. ტურისტების კარგად მომსახურებას ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელობა აქვს. (განსაკუთრებულობა, განსაკუთრებული)

5. ჩასვით გზის სწორი ფორმა:

15 ქულა

	ახლანდელი	წარსული	მომავალი
1.	ავითარებს ის მას		
2.		დაათვალიერა მან ის	
3.			იმოგზაურებს ის
4.	უზიარებს ის მას მას		
5.	იმართება ის		
6.			მოიზიდავს ის მას
7.		გადასცა მან მას ის	
8.	ესწრება ის მას		
9.		შესთავაზა მან მას ის	
10.	მოსწონს მას ის		
11.			მოემსახურება ის მას
12.	უკავშირდება ის მას		
13.		გაავრცელა მან ის	
14.			გააცილებს ის მას
15.	ცხოვრობს ის		

6. ჩასვით გზნასთან შეწყობილი სახელი სწორი ფორმით:

10 ქულა

- თავისი თანაკურსელები დაპატიჟა თუშეთში, რომელიც საოცარი სილამაზის ბუნებით არის ცნობილი. (ჩემი მეგობარი)
- საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტს დაუკავშირდა და მომავალი წლისათვის დიდი პროექტი შესთავაზა. (ტურისტული კომპანია)
- საქართველოში არაერთი საინტერესო ადგილი მოინახულეს. (ტურისტები)
- პროექტის მეტად საინტერესო ამრი აქვს რეგიონის განვითარებისა და ტურისტების მოზიდვის შესახებ. (ავტორი)
- წელს ზღვისპირა კურორტებზე ათასობით დაისვენა და ასევე დაათვალიერა აჭარის ღირსშესანიშნავი ადგილები. (ადამიანი)
- მარშრუტი შეცვალა და ქალაქში რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდა. (ავტობუსი)

7. ტურისტების ორი მიკროავტობუსი ემსახურება.
8. სათაფლიის ქუთაისიდან 8 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.
(ნაკრძალი)
9. შიდა ნაკლებად ახასიათებს სეზონურობა. (ტურიზმი)
10. რესტორნის კარგად ესმოდათ, რომ რესტორანში ადამიანები მხოლოდ სადილობისათვის კი არა, ურთიერთობისათვისაც დადიან. (შემქმნელები)

7. წაიკითხეთ ტექსტი და ჩასვით მოცემული სიტყვები სათანადო ადგილას:

5 ქულა

საუცხოო	მსგავსად	ზუსტად	არაერთი	ხშირად
---------	----------	--------	---------	--------

სამხრეთ კორეაში ჩასულ ტურისტებს საინტერესო ადგილი და ღირშესანიშნაობა დახვდებოდათ. ერთ-ერთი ასეთია სამეფო სასახლეები, რომელთა წინ ტურისტები იყრიან თავს. სეულში ჯოსეონის დინასტიამ ხუთი უზარმაზარი სამეფოელი ააშენა, მათ შორის „ჩანგდუკგანგი“ იუნესკოს ნუსხაში შევიდა, როგორც აღმოსავლური არქიტექტურისა და ბაღის დიზაინის ..
..... მაგალითი.

კორეაში ჩასული ტურისტები ხშირად ირგებენ ტრადიციულ კორეულ სამოსს ჰანბოკს.

სეულში შემონახულია ძველი სოფლები, სადაც მხოლოდ ტრადიციული სახლები „ჰანოკები“. უბანი
..... გადმოსცემს რამდენიმე ასეული წლის წინანდელ არქიტექტურას და ურბანულ დაგეგმარებას.

კორეის ერთ-ერთი ღირშესანიშნაობა მრავალფეროვანი სამზარეულოა. ერთ-ერთ რესტორანში ქართული ღვინოცაა, რომელიც იტალიური და ფრანგული ღვინოების ძალიან ძვირფასი და მოთხოვნილია.

8. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

10 ქულა

(1) 1961 წლის 12 აპრილს ადამიანი პირველად გაფრინდა კოსმოსში. კოსმოსში გაფრენაზე უძველესი პერიოდიდან ოცნებობდნენ, მაგრამ ეს შესაძლებელი მხოლოდ მეოცე საუკუნეში გახდა. კოსმოსში მოგზაურობის ბედნიერება მხოლოდ ერთეულებს ჰქონდათ. კოსმოსიდან დაბრუნებულები გმირები ხდებოდნენ, მათზე მთელი მსოფლიო საუბრობდა. კოსმონავტები ყველაზე ცნობილი ადამიანები ხდებოდნენ.

(2) დღეს კოსმოსში გაფრენა ნებისმიერ მსურველს შეუძლია, თუ მას ჯანმრთელობა, ფიზიკური მომზადება და საკმარისი ფული გააჩნია. მათ კოსმოსურ ტურისტებს უწოდებენ.

(3) მსოფლიოში პირველი კოსმოსური ტურისტი დენის ტიტო ორბიტაზე 2001 წლის 28 აპრილის გაემგზავრა. იური გაგარინის გამგზავრებიდან 40 წლის შემდგომ, კოსმოსში მოგზაურობის ახალი ეტაპი დაიწყო. ორბიტაზე პირველად გავიდა არაპროფესიონალი კოსმონავტი.

(4) ორბიტაზე გამგზავრების წინ, კოსმოსური ტურისტები უმკაცრეს სამედიცინო და ფიზიკურ შემოწმებას გადიან. მხოლოდ ამის შემდგომ უფლებას აძლევენ შემდეგი ეტაპისათვის მოემზადონ. გაფრენამდე 4-5

თვის განმავლობაში, მათ უნდა შეისწავლონ ის, რასაც პროფესიონალი კოსმონავტები წლები სწავლობენ. ორბიტაზე ტურისტი ეკიპაჟის სრულფასოვანი წევრია. ამიტომ იგი ყველა სიტუაციისათვის მზად უნდა იყოს.

(5) უნგრეთში დაბადებული ჩარლზ სიმონი კოსმოსზე ბავშვობიდან ოცნებობდა. 13 წლისამ სკოლის ასტრონომიულ კონკურსში გაიმარჯვა და მოსკოვში გაემგზავრა. აქ იგი შეხვდა ადამიანს, რომელმაც კოსმოსი მისი ცხოვრების მიზნად აქცია. რამდენიმე წელიწადში იგი ნიუ-იორკში ჩადის. 1981 წელს ერთ ღარიბ სტუდენტ ბილ გეითსთან ერთად მაიკროსოფტს აყალიბებს.

(6) 2007 წლის 7 აპრილს სიმონი რიგით მეხუთე კოსმოსური ტურისტია. ორი წლის შემდეგ სიმონმა 25 მილიონ დოლარად კოსმოსში მოგზაურობა გაიმეორა. მთლიანობაში ორბიტაზე მან 29 დღე დაჰყო.

(7) ანუშე ანსარი პირველი და ერთადერთი ქალი კოსმოსური ტურისტია. ის 2006 წლის 18 სექტემბერს გაემგზავრა. მუსულმანურ სამყაროში ის პირველი ქალია, რომელმაც ეს ნაბიჯი გადადგა. ორბიტაზე იგი დღიურს წერდა, რომელიც შემდგომ 30 მილიონზე მეტმა ადამიანმა წაიკითხა.

(8) კონკრეტულად ვინ რამდენი გადაიხადა კოსმოსში მოგზაურობისათვის უცნობია. ვიცით მხოლოდ ის, რომ ტიტოს კოსმოსური ვოიაჟი დაახლოებით 20 მილიონი დაჯდა. ჩარლზ სიმონმა კი ორივე ფრენაში 55 მილიონი გადაიხადა.

უპასუხეთ შეკითხვებს:

1. როდის გახდა შესაძლებელი კოსმოსში მოგზაურობა?
.....
2. ვის შეუძლია კოსმოსში გაფრენა?
.....
3. ვინ იყო პირველი არაპროფესიონალი კოსმონავტი, ვინც კოსმოსში გავიდა?
.....
4. რას აკეთებენ კოსმოსური ტურისტები კოსმოსში გაფრენამდე?
.....
5. სადაური იყო ჩარლზ სიმონი?
.....
6. რა კონკურსში გაიმარჯვა ჩარლზ სიმონმა?
.....
7. რამდენი დღე იყო კოსმოსში ჩარლზ სიმონი?
.....
8. ვინ იყო პირველი ქალი-ტურისტი კოსმოსში?
.....
9. ვინ წერდა დღიურებს კოსმოსში მოგზაურობის შესახებ?
.....
10. რის შესახებ არის ტექსტი?
.....

მოამზადეთ პრეზენტაცია და გიდის ტექსტი მოცემულ თემაზე:



სამცხე-ჯავახეთი



დაუკვირდით რუკას და ისაუბრეთ რეგიონის შესახებ:

1. სადაა ეს რეგიონი?
2. რომელი კუთხეები ესაზღვრება რეგიონს?
3. იპოვეთ ინტერნეტში ინფორმაცია (მაგალითად, ვიკიპედიაში) ამ რეგიონის მოსახლეობის, ადმინისტრაციული ცენტრის, ქალაქებისა და სოფლების შესახებ.
4. მოიძიეთ ინფორმაცია, რომელი ადგილებია ტურისტებისათვის საინტერესო ამ რეგიონში?
5. დაგეგმეთ ტური რეგიონში მოგზაურობით დაინტერესებული პირებისათვის.
6. რა მარშრუტს შეადგენდით თქვენი ტურისტული ჯგუფისათვის? დაასაბუთეთ, რატომ.
7. მოიპოვეთ ინფორმაცია თქვენს მარშრუტში შემავალი ადგილების შესახებ.
8. შეადგინეთ ტექსტი ტურისტებისათვის: რა ინფორმაციით დაიწყებდით საუბარს ტურისტებთან?
9. რა ინფორმაციას მიაწვდით მათ ამ ადგილების შესახებ?
10. გააცანით ჯგუფს გიდის ტექსტი.



შიომღვიმის მონასტერი



რაბათის ციხე

ტურიზმი საქართველოში

ნაწილი I

საქართველოს კურორტები

1.1. შეავსეთ ცხრილი:

დაბრუნება – დაბრუნებული	 - განვითარებული
..... - განკურნებული	აღმოჩენა -
დაკავშირება-	აღრიცხვა-
შესწავლა-	 - წარმოდგენილი
..... - დამშვიდებული	გაუმჯობესება-

1.2. წაიკითხეთ წინადადებები, შეარჩიეთ სწორი ფორმა და ხაზი გაუსვით:

1. დღეს ბევრი დაავადების განკურნება/განკურნებული უკვე შესაძლებელია.
2. ტექნოლოგიების განვითარება/განვითარებული გვეხმარება უკეთ სწავლაში.
3. განვითარება/განვითარებული ტექნოლოგიები გვეხმარება უკეთ სწავლაში.
4. ხშირად სხვადასხვა სფერო დაკავშირება/დაკავშირებულია ერთმანეთთან.
5. ტექნოლოგიები აადვილებს დაკავშირების/დაკავშირებულად შესაძლებლობას.
6. საჭიროა ყველა საბუთის აღრიცხვა/აღრიცხული და დათვლა.
7. დაითვალეთ და შეინახეთ აღრიცხვა/აღრიცხული დოკუმენტები.

1.3. შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	განმარტება
ბალნეოლოგიური	კურორტი, სადაც წყლითა და ტალახით მკურნალობენ
რეკრეაცია	
	მინდორი, სადაც საქონელს აბალახებენ
	ყოველთვის მწვანე
დაავადებული	
გაკაჟება	
	ავადმყოფობა, რომელიც პერიოდულად მწვავდება
დამსვენებელი	
	პოპულარობის მოპოვება

1.4. დააკაჰირეთ სიტყუები:

- | | |
|---------------------|-----------------|
| 1. ტურიზმის | ა. აქეს |
| 2. ყოველწლიურად | ბ. ეფექტი |
| 3. პოტენციალი | გ. მაჩვენებლები |
| 4. მიმზიდველია | დ. ზონა |
| 5. კლიმატური | ე. მდებარეობით |
| 6. ზღვის | ვ. განკურნება |
| 7. გამაკაჰებელი | ზ. იმატებს |
| 8. ავადმყოფობისაგან | თ. დონიდან |

1.5. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი:

- კურორტი ბახმარო განსაკუთრებით უხდება ფილტუების დაავადებებს:
 - ალამაზებს;
 - ხდება;
 - სასარგებლოა
- ჭლექისგან მოულოდნელმა განკურნებამ კურორტს სწრაფად გაუთქვა სახელი:
 - დაასახლა;
 - ცნობილი გახდა;
 - სახელი დაარქვა.
- დათომ ვარჯიში და გაკაჰება დაიწყო:
 - გაკვირვება;
 - ფიზიკური წვრთნა;
 - გაცივება

1.6. ჩასვით გამოტოვებული სიტყუები საჭირო ფორმით:

- კურორტ ბახმაროს აღმოჩენა განკურნების ისტორიას უკავშირდება (ტუბერკულოზი)
- მოულოდნელმა განკურნებამ კურორტს სწრაფად გაუთქვა სახელი (ჭლექი)
- ბახმაროს ჰაერი განსაკუთრებით უხდება ფილტუებსა და გულის ქრონიკულ (დაავადებები)
- საქართველოს კურორტები სხვადასხვა კლიმატურ მდებარეობს (ზონა)
- საქართველოში დაახლოებით 320 კარგი საკურორტე პოტენციალი აქვს (ადგილი)
- ჩვენი ქვეყანა მიმზიდველია თავისი , მდიდარი ბუნებრივ-რეკრეაციული და ისტორიულ-კულტურული (მდებარეობა, რესურსები, ღირსშესანიშნაობები)

1.7. აწარმოეთ უნახავი ქმედების გამომხატველი ზმნები

წარსული (რა ქნა?)	წარსული უნახავი (რა უქნია?)
განვითარდა	განვითარებულა
მოიმატა	

დაბრუნდა	
იყო	
დაამშვიდა	
აღმოჩინა	
წაჰყვა	
გაუმჯობესა	

1.8. გაიხსენეთ კონსტრუქცია – ცნობილია (ცნობილი არის) ... +ით. დაალაგეთ სიტყვები ისე, რომ მიიღოთ სწორი წინადადება

ნიმუში: კურორტებით ცნობილია სამთო საქართველო თავისი და საზღვაო საქართველო ცნობილია თავისი სამთო და საზღვაო კურორტებით

1. განთქმულია თავისი ბახმარო თვისებებით სამკურნალო

2. ქართული გამორჩეულია სიმღერა მრავალხმიანობით თავისი

3. ბორჯომი სამკურნალო ცნობილია წყლებით მინერალური

4. ტურისტებს თბილისი სილამაზით თავისი იზიდავს

1.9. შეავსეთ ცხრილი შესაბამისი გზებით:

საწყისი	წარსული	ახლანდელი	მომავალი
განვითარება	განვითარდა ის	ვითარდება ის	განვითარდება ის
მომატება		იმატებს ის	
შეხვედრა	შეხვდა ის მას		
დამშვიდება			დაამშვიდებს ის მას
გაუმჯობესება		აუმჯობესებს ის მას	
მოხდენა	მოუხდა ის მას		
დაბრუნება			დაბრუნდება ის
განკურნება		კურნავს ის მას	

1.10. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის სინონიმი:

1. მთის კურორტებზე ხშირად ვხვდებით ჩქარ მდინარეებს
2. დამსვენებელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება
3. საქართველოში მრავალი კურორტი მოქმედებს
4. ადამიანს აქვს წარმატების შესაძლებლობა, თუ მოინდომებს
5. შეძლებული ადამიანები ხშირად ეხმარებიან ღარიბებს
6. მნიშვნელოვანი დოკუმენტების აღნუსხვა აუცილებელია
7. დოკუმენტური მასალის შესწავლა ისევ გრძელდება
8. დაავადებული ადამიანი ვერ მოგზაურობს
9. საირმე ცნობილია მინერალური წყლითა და ლამაზი ბუნებით
10. გასულ საუკუნეებში ტუბერკულოზს ვერ კურნავდნენ
11. მისი უეცარი მოსვლა ძალიან გაუხარდათ ბავშვებს
12. ავადმყოფი მალე განიკურნა და სახლში წავიდა

1.11. გამოიყენეთ ხაზგასმული სიტყვების ანტონიმები:

1. მანქანას სწრაფად ნუ ატარებ, იარე!
2. დაავადებული და ცხოველები ერთ გალიაში არ არიან.
3. დიდი სახლის გარშემო ოთხი სახლია.
4. დღეს მომღერალი შეასრულებს ცნობილ და სიმღერებს.
5. მდიდარი და საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებია.
6. ზაფხული ახლოვდება და ტემპერატურა იმატებს, არ
7. ხვალ მოსალოდნელია ამინდის გაუარესება, შემდეგ კვირას ამინდის
8. კურორტზე დასვენება ადამიანის ჯანმრთელობას აუარესებს თუ ?
9. ყველა გაფრთხილებული იყო მოსალოდნელი ცვლილების შესახებ, ეს ფაქტი არ იყო.
10. ძალინ ინფექციის გამო დაავადდა, მაგრამ მკურნალობის შემდეგ

1.12. დაწერეთ:

ტექსტში დასახელებული ბალნეოლოგიური კურორტებიდან შეარჩიეთ რომელიმე თქვენი სურვილით და დაწერეთ ინფორმაცია ამ კურორტის შესახებ (მდებარეობა, სამკურნალო დანიშნულება, ბუნება და სხვა)

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

საქართველოს დაცული ტერიტორიები

2.1. დააკავშირეთ სიტყვები:

- | | |
|----------------|----------------|
| 1. სამკურნალო | ა. მარშრუტი |
| 2. ბუნების | ბ. ექსპედიცია |
| 3. ტურისტული | გ. ვულკანი |
| 4. ფრინველებზე | დ. ძეგლი |
| 5. დაცული | ე. ტალახი |
| 6. სამეცნიერო | ვ. იშლება |
| 7. ტალახოვანი | ზ. გამოწვევა |
| 8. ხედი | თ. ტერიტორიები |
| 9. ინტერესის | ი. დაკვირვება |

2.2. შეავსეთ ცხრილი:

მოქცევა - მოქცეული	 -დაზიანებული
..... -მინიჭებული	დაარსება-
დაშორება -	 -დაგეგმილი
..... -ჩატარებული	შეთავაზება-
გამოწვევა-	 - გაშლილი

2.3. შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	განმარტება
ხეობა	
	ვიწრო გზა, სიარულისაგან გაჩენილი
ჯომარდობა	
	განძი, სიმდიდრე
ლანდშაფტი	
	ბუნების დაცული ზონა
ნაკრძალი	
	ის, რაც საოცარია, საკვირველია

2.4. შჲარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის შესაბამისი ვარიანტი:

- ლაგოდების ნაკრძალი 1921 წელს შეიქმნა.
ა) აშენდა; ბ) დაარსდა; გ) აიგო.
- ნაკრძალში ხეების განლაგება ვაშლის ბაღს მოგვაგონებს
ა) გაიგონებს; ბ) გვაცნობს; გ) გვახსენებს.
- ნაკრძალში ისტორიულ ძეგლებსაც იხილავთ
ა) ნახავთ; ბ) გახვალთ; გ) გადაიღებთ
- აქ მხოლოდ სასკოლო ან საუნივერსიტეტო კვლევები ეწყობა
ა) ტარდება; ბ) შეაწყობენ; გ) ჩერდება
- მკაცრი დაცვის ზონებში ჩვეულებრივი დამთვალიერებელი ვერ აღწევს.
ა) აწყობს; ბ) შევა; გ) ასწევს

2.5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები საჭირო ფორმით:

- საქართველოში დაცული ტერიტორიების დიდი ხნის ისტორია აქვს (დაარსება)
- ნაკრძალი მოქცეულია ორ მთავარ , იორსა და ალაზანს შორის (კახეთი, მდინარე)
- საკმლის ხეები ბუნებრივად 15-20 მეტრითაა დაშორებული (ერთმანეთი)
- ეს ტერიტორია 1935 წელს გამოცხადდა (ნაკრძალი)
- ჩამოსულ ეროვნული პარკის ადმინისტრაცია სთავაზობს რამდენიმე (დამთვალიერებლები, მარშრუტი)
- ტახტი თეფას სამკურნალო ტალახი და გაზი ამოდის (კრატერები)
- ტურისტების განსაკუთრებულ საქართველოს უნიკალური ბუნება, კლიმატი და განსხვავებული ლანდშაფტი იწვევს (ინტერესი)

2.6. დაალაგეთ სიტყვები და ააწყვეთ წინადადებები:

ნიმუში: *ზღაპრული მივდივართ კანიონზე დასათვალიერებლად ადგილების.*

კანიონზე მივდივართ ზღაპრული ადგილების დასათვალიერებლად.

- ახალი სურათების ფოტოპარატი გადასაღებად ვიყიდე.
.....
- წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია ბევრი შრომა.
.....
- ვაშლოვანის ნაკრძალში მივდივარ ფლორისა და ფაუნის გასაცნობად.
.....
- მივდივართ ივლისში დასასვენებლად ზღვაზე.
.....
- მეგობართან წიგნის წავედი წამოსაღებად.
.....

2.7. შეავსეთ ცხრილი შესაბამისი ზმნებით:

საწყისი	წარსული	ახლანდელი	მომავალი	თურმეობითი
დაარსება	დააარსა	აარსებს	დააარსებს	დაუარსებია
მოგონება	მოაგონა			
გამოცხადება		აცხადებს		
შეთავაზება				შეუთავაზებია
დაზიანება			დააზიანებს	
მიღწევა	მიაღწია			
ჩატარება		ატარებს		
მოწყობა			მოაწყობს	

2.8. ჩასვით სიტყვები საჭირო ფორმით (გამოიყენეთ -დან, -მდე თანდებულები)

1. შორს ამომავალი მზის შუქი ანათებდა (მთები)
2. არდადეგები გვაქვს, დასასვენებლად წავალთ (სექტემბერი)
3. 5 15 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს (მარტი, ივნისი)
4. მომავალ უნდა გავაკეთო ეს საქმე (სამშაბათი)
5. ბათუმში 25 დავრჩები (აგვისტო)
6. მისვლას მხოლოდ 15 წუთი სჭირდება (სახლამდე)

2.9. შეავსეთ ცხრილი სათანადო ზმნებით:

საწყისი	მოქმედებითი	ვნებითი
დაარსება	დააარსა მან ის	დაარსდა ის
გამოცხადება		გამოცხადდა ის
დაზიანება	დააზიანა მან ის	
ჩატარება		ჩატარდა ის
მოწყობა	მოაწყო მან ის	
დაგეგმვა		დაიგეგმა ის
წერა	დაწერა მან ის	
ხატვა		დაიხატა ის
აშენება	ააშენა მან ის	

2.10. გადაიყვანეთ ზმნები მოქმედებითიდან ვნებითში:**ნიმუში:** განცხადება სტუდენტებმა გუშინ დაქრეს.

განცხადება გუშინ დაიწერა.

1. ავადმყოფობამ პაციენტის ორგანიზმი საკმაოდ დააზიანა.
.....
2. შაბათს სოფელში წასვლა დავეგეგმეთ.
.....
3. მოხუცთა დასახმარებლად სკოლამ კონცერტი ჩაატარა.
.....
4. ბავშვთა ფონდმა პატარა მხატვრის გამოფენა მოაწყო.
.....
5. კომპანია „რუნითე“ 2008 წელს მოგზაურობის მოყვარულებმა დააარსეს.
.....

2.11. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის სინონიმი:

1. ბავშვების სათამაშო ადგილები უსაფრთხო უნდა იყოს.
2. ცხოველებთან მკაცრად მოპყრობა არ შეიძლება
.....
3. სამეცნიერო ინსტიტუტებში სხვადასხვა საგანს შეისწავლიან
.....
4. სტუდენტი გამუდმებით ფიქრობს გამოცდაზე
.....
5. ეს საკითხი სხვადასხვა დარგს ეხება
.....
6. ყოველთვის სასიამოვნოა ამ ამბის გახსენება
.....
7. ხვალ ნახავ გამოფენას და საოცარ ნახატებს
.....
8. ჩვენი სტუდენტების ასეთი წარმატება ძალიან გვახარებს
.....
9. აქ ხშირად ტარდება გასართობი და შემეცნებითი ტურები
.....
10. არავინ იცის, რატომ გაფუჭდა ტელევიზორი
.....

2.12. გამოიყენეთ ხაზგასმული სიტყვების ანტონიმები:

1. არავინ იცის, რატომ დატოვეს მანქანა დაუცველ ადგილას, არსებობს ----- ავტოსადგომები!
2. ეს შესასვლელი არ არის, ეს -----! აქედან არ შეხვდით!
3. რომელ საათზე იწყება სპექტაკლი? 7-ზე იწყება და 8-ზე ----- .
4. ეს ბუნებრივი ტბაა, ----- არ გეგონოთ.
5. არსებობენ მკაცრი და ----- მშობლები.
6. ჩვეულებრივ სანახაობას ველოდი, მაგრამ ----- პეიზაჟი დავინახეთ.
7. გერმანიიდან ჩამოსული სტუმრები ვერ ვნახე, ქუთაისში იყვნენ -----ექსკურსიაზე.

2.13. დაწერეთ მოკლე ტექსტი, თუ რატომ არის აუცილებელი დაცული ტერიტორიების გაფრთხილება და მათზე ზრუნვა:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ნაწილი III

**საქართველოს ტურისტული პოტენციალი და
განვითარების ტენდენციები**

3.1. დააკავშირეთ ფრაზები:

- | | |
|---------------------------------------|--|
| 1. კულტურული მემკვიდრეობა თანამედროვე | ა. რომელშიც მსოფლიოს 800-ზე მეტი |
| 2. იუნესკო 1945 წლის | ბ. ისტორიული ძეგლია შეტანილი. |
| 3. იუნესკოს ერთ-ერთი მიზანი | გ. იმართება „ღვინის ფესტივალი.“ |
| 4. საქართველო იუნესკოს სრულფასოვანი | დ. 16 ნოემბერს შეიქმნა. |
| 5. ღვინის ტურიზმის | ე. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისა |
| 6. განვითარებისათვის | ვ. და მისი მრავალფეროვნების დაცვაა. |
| 7. შემოდგომით კახეთში | ზ. ტურიზმის ერთ-ერთი მთავარი რესურსია. |
| 8. ტრადიციულად | თ. წევრია 1992 წლის 7 ოქტომბრიდან. |
| 9. კახელი გლეხები ფესტივალის სტუმრებს | ი. საქართველოში საკმარისი რესურსია. |
| 10. არსებობს მსოფლიო კულტურული | კ. სთავაზობენ მათ მიერ დაწერილ ღვინოს. |
| მემკვიდრეობის სია, | |

3.2. დაუკვირდით ზმნის ფორმებს და ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სწორი ფორმით:

1. დღეისათვის იუნესკო 195 აერთიანებს. (ქვეყანა)
2. მსოფლიო მნიშვნელობის მემკვიდრეობის დასაცავად შემოიღო ცნება „მსოფლიო მემკვიდრეობა“. (იუნესკო)
3. იუნესკოს არამატერიალური კულტურის ჩამონათვალში ვხვდებით ქვევრში ღვინის დაყენების უძველეს ქართულ (ტრადიცია)

4. კახელი გლეხები ფესტივალის სთავაზობენ მათ მიერ დაწერულ
..... (სტუმრები, ღვინო)
5. ტურისტები თავად ამზადებენ და ავლებენ
(თათარა, ჩურჩხელები)
6. ტურისტები ფესტივალზე ქართულ აგემოვნებენ. (ღვინო)
7. ჩვენს გერმანელ ძალიან აინტერესებთ ალავერდის მონასტრის ნახვა.
(სტუმრები)
8. კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს (დელეგაცია)
9. ტურისტებს მეტად საინტერესო პროგრამა შესთავაზა. (კომპანია)
10. ფესტივალის რამდენიმე ტურისტული სააგენტოს თანამშრომლები ერთი
მიზნისთვის გააერთიანა. (პროგრამა)

3.3. შეავსეთ ცხრილი გამოტოვებული ფორმებით:

საწყისი	ახლანდელი	მომავალი	წარსული	მომავალი + უნდა	თურმეობითი
	იქმნება ის			უნდა შეიქმნას ის	
გაერთიანება		გააერთიანებს ის მას			
		შესთავაზებს ის მას მას		უნდა შესთავაზოს მან მას ის	
გამართვა			გაიმართა ის		
ამოვლება					არ ამოუვლია მას ის

3.4. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით. ყურადღება მიაქციეთ ზმნასთან შეწყობილი სახელების ბრუნვის ფორმებს:

1. სთავაზობს (ის მას მას)
2. უნდა გააერთიანოს (მან ის)
3. უნდა ამოავლოს (მან ის)
4. ატარებს (ის მას)
5. ჩაატარა (მან ის)
6. უნდა მოაწყოს (მან ის)
7. დაგეგმა (მან ის)
8. ჩატარდა
9. მოიწვია (მან ის)
10. ვითარდება

3.5. წინადადებებში ჩასვით ხაზგასმული სიტყვების სინონიმები:

1. ქართულმა დელეგაციამ იუნესკოში წარადგინა კულტურულ მემკვიდრეობაში შესატანი ძეგლების სია.
.....
2. საქართველოში ვაზის ხუთასამდე სახეობა არსებობს.
3. საქართველოს ვაზის სამშობლოს უწოდებენ.
4. კულტურული ძეგლები საქართველოს ბევრ კუთხეშია.
5. ქართულ რესტორანში სტუმრები რამდენიმე სახეობის ღვინოს აგემოვნებენ და შემდეგ საუკეთესოს ირჩევენ.

3.6. გადაიყვანეთ წინადადებები სხვადასხვა დროში:

წარსული: ჩემმა მეგობარმა საქართველოს რამდენიმე კუთხეში იმოგზაურა.

ახლანდელი:

მომავალი:

ახლანდელი: თამარი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს მიზიარებს.

წარსული:

მომავალი:

მომავალი: მოგზაურები ერთმანეთს ქუთაისში შეხვდებიან.

ახლანდელი:

წარსული:

წარსული: ტურისტულმა კომპანიამ ძალიან საინტერესო ბუკლეტი შემოგვთავაზა.

ახლანდელი:

მომავალი:

ახლანდელი: ღვინის ფესტივალი წელს თბილისში იმართება.

მომავალი:

წარსული:

3.7. ქვემოთ მოცემულია ორი წინადადება. დააკავშირეთ ისინი „რომელიც“ კავშირით. ყურადღება მიაქციეთ კავშირის სწორ ფორმას:

ნიმუში: ტურისტებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია არამატერიალური კულტურა. არამატერიალურ კულტურას სხვადასხვა ქვეყნებში ეცნობიან.

ტურისტებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია არამატერიალური კულტურა, რომელსაც სხვადასხვა ქვეყანაში ეცნობიან.

1. არსებობს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სია. სიაში მსოფლიოს 800-ზე მეტი ისტორიული ძეგლია შეტანილი.

.....
.....

2. შექმნილია სპეციალური საიტი. საიტი მოგზაურებს ეხმარება თავად შეარჩიონ ღვინის ტური.
.....
.....
3. იუნესკოს პირველი კონფერენცია მიმდინარეობდა პარიზში. მას ოცდაათი ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა.
.....
.....
4. იუნესკოს თანამედროვე შტაბ-ბინა 1958 წლის 3 ნოემბერს გაიხსნა. მას ლათინური ანბანის ასო Y ფორმა აქვს.
.....
.....
5. ქვეყანა არაა გაეროს წევრი. ქვეყანა შესაძლებელია გახდეს იუნესკოს წევრი გენერალური კონფერენციის წევრთა 2/3-ის თანხმობის შემთხვევაში.
.....
.....
6. 1972 წელს იუნესკომ მიიღო მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია. კონვენცია ძალაში შევიდა 1975 წელს.
.....
.....
7. ყოველწლიურად მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი იკრიბება სესიაზე. სესია განსაზღვრავს, თუ რომელი ძეგლი შეიტანონ იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.
.....
.....

3.8. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი.

მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ხვდებიან მხოლოდ ის ძეგლები, რომლებსაც, კომისიის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვთ მსოფლიო კულტურისთვის. ძეგლი უნდა აკმაყოფილებდეს ერთ ან რამდენიმე კრიტერიუმს. ეს კრიტერიუმებია:

1. ობიექტი არის ადამიანის გენიის ნიმუში.
2. ძეგლი არის უნიკალური ფასეულობის, არქიტექტურის ან ტექნოლოგიის განვითარების ნიმუში.
3. ძეგლი არის კულტურის ორიგინალური ნიმუში.
4. ძეგლი არის არქიტექტურის, ტექნოლოგიის ან ბუნების განუმეორებელი ნიმუში და უკავშირდება ისტორიულ მოვლენას.
5. ძეგლი არის რომელიმე კულტურის ტიპური ნიმუში და მას გაქრობა ემუქრება.
6. ძეგლი დაკავშირებულია ტრადიციული ცხოვრების წესთან, რელიგიასთან, ხელოვნებასთან, ლიტერატურასთან და მას უნივერსალური მნიშვნელობა აქვს.
7. არის ბუნების საოცრება და აქვს განსაკუთრებული სილამაზე.

[illegible]

დაუკვირდით რუკას და ისაუბრეთ რეგიონის შესახებ:

1. სადაა ეს რეგიონი?
2. რომელი კუთხეები ესაზღვრება რეგიონს?
3. იპოვეთ ინტერნეტში ინფორმაცია (მაგალითად, ვიკიპედიაში) ამ რეგიონის მოსახლეობის, ადმინისტრაციული ცენტრის, ქალაქებისა და სოფლების შესახებ.
4. მოიძიეთ ინფორმაცია, რომელი ადგილებია ტურისტებისათვის საინტერესო ამ რეგიონში?
5. დაგეგმეთ ტური რეგიონში მოგზაურობით დაინტერესებული პირებისათვის.
6. რა მარშრუტს შეადგენდით თქვენი ტურისტული ჯგუფისათვის? დაასაბუთეთ, რატომ.
7. მოიპოვეთ ინფორმაცია თქვენს მარშრუტში შემავალი ადგილების შესახებ.
8. შეადგინეთ ტექსტი ტურისტებისათვის: რა ინფორმაციით დაიწყებდით საუბარს ტურისტებთან?
9. რა ინფორმაციას მიაწვდით მათ ამ ადგილების შესახებ?
10. გააცანით ჯგუფს გიდის ტექსტი.



გელათის მონასტერი



ბაგრატის ტაძარი



ყუმისთავის მღვიმე



სათაფლიის მღვიმე

თავი V

გიდი

ნაწილი I

გიდის პროფესია

1.1. შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	განმარტება
	სხვისი აზრების, რწმენის შემწყნარებლობა
გიდი	
	ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი მეორეში.
კანონი	
	რაიმე მოქმედებისათვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი
შაბლონი	

1.2. ჩასვით ფრაზები საჭირო ფორმით:

მხიარული ადამიანი, ქვეყნის ელჩი, გიდის შაბლონი, გაუწევს მეგზურობას, გადატვირთული გრაფიკი, დაუწერელი კანონი, პროფესიული უნარები

1. ძალიან გაუმართლათ ადამიანებს, რომლებსაც სანდრო
2. ყველას ახალისებს და მოსწონს ურთიერთობა.
3. ღიმილი გიდებისთვის აუცილებელია, ეს არის.
4. არსებობენ საინტერესო გიდები, რომლებიც არ იყენებენ
5. მიუხედავად, ძალიან მიყვარს ჩემი საქმე.
6. მუდმივი შრომა და სწავლა განვითარებისთვის აუცილებელია.
7. ხშირად ამბობენ, რომ გიდი საკუთარი

1.3. შეავსეთ ცხრილი

დაშვება - დაუშვებელი	 - შეუფასებელი
..... -დაუწერელი	შეცვლა -
დავიწყება -	 - მოუთმენელი
..... -გაუმართლებელი	გათვალისწინება -

1.4. წაკითხეთ წინადადებები და შეარჩიეთ სწორი ფორმა:

1. მოთმენა/მოუთმენელი აუცილებელი თვისებაა წარმატების მისაღწევად.
2. ნუ იქნები მოთმენა/მოუთმენელი, ასე წარმატებას ვერ მიაღწევ.
3. ზოოპარკში ცხოველების კვება დამთვალე რეგულაციების მიერ დაშვება/დაუშვებელია.
4. მსურველთა დაშვება/დაუშვებელი ცხოველების სანახავად შესაძლებელია დღეიდან.
5. ზრდასრული ადამიანის შეცვლა/შეუცვლელი საკმაოდ რთულია.
6. ჩვენი შეცვლა/შეუცვლელი მასპინძელი ხვალ საღამოს გველის.
7. მისი ამგვარი საქციელის გამართლება/გაუმართლებელი არ შეიძლება.
8. ცხოველთან სასტიკი მოპყრობა გამართლება/გაუმართლებელია.

1.5. ჩასვით წინადადებებში სიტყვები საჭირო ფორმით:

სტიმული	შაბლონი	გიდი	კანონი	ტოლერანტობა	ელჩი
---------	---------	------	--------	-------------	------

1. განცხადების აქვე დევს, შეგიძლიათ გამოიყენოთ.
2. ახალი დამტკიცების უფლება პარლამენტს აქვს.
3. ახალი დანიშნული თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.
4. ასეთი წარმატება მოსწავლეებს აძლევს.
5. ძალიან საინტერესო ადგილები დაგვათვალისწინებინა ჩვენმა
6. დღეს ადამიანები ხედავენ და მრავალფეროვნების მნიშვნელობას.

1.6. ჩაწერეთ ზმნის საჭირო ფორმები:

საწყისი	წარსული	ახლანდელი	მომავალი
მიწოდება	მიაწოდა მან მას ის	აწოდებს ის მას მას	მიაწოდებს ის მას მას
მოთმინება	მოითმინა მან ის		
მოსმენა			მოისმენს ის მას
დაწყება		იწყებს ის მას	
გამოყენება	გამოიყენა მან ის		
გათვალისწინება		ითვალისწინებს ის მას	
გამართლება	გაუმართლა მას		
ცხოვრება			იცხოვრებს ის
გაწევა		უწევს ის მას მას	

1.7. მიუწერეთ სიტყვა და გადაიყვანეთ წარსულიდან მომავალ დროში.**ნიმუში: მიაწოდა გიამ მამას გასაღები – მიაწოდებს გია მამას გასაღებს**

მოითმინა
 მოისმინა
 დაიწყო
 გამოიყენა
 გაითვალისწინა
 გაუმართლა
 იცხოვრა
 გაუწია

1.8. ჩასვით სიტყვები: მისი ან თავისი

- გამგზავრების შესახებ არაფერი ვიცოდით.
- თამარმა ჩამოსვლის დრო გვითხრა და დახვედრა გვთხოვა.
- დავითმა შვილს დაბადების დღე მიულოცა.
- გიორგიმ ძველ მეგობარს შვილის სურათი მისცა.
- საზღვარგარეთ მცხოვრებ ბიძაშვილს ეკამ სურათი გაუგზავნა.
- ნანამ წიგნი მომცა, მოცემული წიგნი საინტერესოა.
- თეამ მეგობრები გამოფენაზე დაპატიჟა.
- ნანას ბევრი საქმე ჰქონდა, ამიტომ შვილი სკოლაში ნინომ წაიყვანა.

1.9. ჩასვით ხაზგასმული სიტყვების სინონიმები:

- სანდრო თავისი ხალისიანი განწყობის გამო ყველას მოსწონს
- რომელია თქვენთვის ყველაზე საინტერესო პროფესია?
- ყოველთვის საინტერესოა განსხვავებულ ადამიანებთან შეხვედრა
- მომავალ წელს ნიკოს საზღვარგარეთ წასვლა უნდა
- სხვისი პირადი მონაცემების უნებართვოდ გავრცელება არ შეიძლება
- პოზიტიური ფიქრები ადამიანს ეხმარება პრობლემის მოგვარებაში
- ადამიანისათვის აუცილებელია თავშეკავების უნარი
- ზოგიერთ ადამიანს ყველაფერზე უარყოფითი აზრი აქვს

1.10. გამოიყენეთ ხაზგასმული სიტყვების ანტონიმები:

- პოზიტიური აზრები ადამიანს ეხმარება, კი ხელს უშლის.
- და უჭკუო ადამიანის ერთმანეთისაგან გარჩევა ადვილია.
- არ არსებობენ ნიჭიერი და ადამიანები, არსებობენ ბეჭითი და
 ადამიანები.

4. სანდროს იშვიათად აქვს თავისუფალი დრო, რადგან ბევრს მუშაობს და გრაფიკი აქვს.
5. ბაბუას საქმეში ვეხმარები, არასოდეს ვეუბნები უარს.
6. უძველესი ცივილიზაციების შესახებ ინფორმაციას ტექნოლოგიებით ვსწავლობთ.
7. კინოში იშვიათად დავდივარ, მაგრამ თეატრი მიყვარს და სპექტაკლებს ვესწრები.
8. ლევანს თავისი ტელეფონი სახლში დარჩა და ტელეფონით დარეკა.
9. ახალგაზრდებიც და სიამოვნებით ჩაერთნენ სააქმეში.
10. და მოწყენილი საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები

1.11. დაწერეთ ტექსტი:

ყველაზე საინტერესო პროფესია

This image shows a full page of white paper with horizontal dotted lines. The lines are evenly spaced and run across the width of the page, providing a guide for handwriting practice. There are no margins, text, or other markings on the page.

2.1. დააკავშირეთ სიტყვები:

- | | |
|-----------------|----------------|
| 1. ტურისტული | ა. გიდი |
| 2. საექსკურსიო | ბ. რუკა |
| 3. წარმატებული | გ. ბაზარი |
| 4. პრაქტიკის | დ. ტური |
| 5. გამოცდილი | ე. ლიცენზირება |
| 6. ობიექტების | ვ. მიხედვით |
| 7. ტექნოლოგიური | ზ. საქმიანობა |
| 8. ქრონოლოგიური | თ. პრინციპი |
| 9. რუკის | ი. შერჩევა |

2.2. ჩასვით სიტყვები საჭირო ფორმით:

- ვის დაავალეს ექსკურსიაში ჩართული გაცნობა და შესწავლა? (მუზეუმები)
- საექსკურსიო დასამზადებლად საჭიროა ობიექტის სრული დახასიათება და მისი განსაზღვრა (ბარათები, მნიშვნელობა).
- ექსკურსია დმანისის უნდა დაეწყოს (გაცნობა).
- გიდის და ტექნოლოგიური ლიცენზირებაზე ჯგუფის ხელმძღვანელმა იბრუნა (ტექსტი, რუკა).
- საბოლოო დასახვის შემდგომ დაიწერა გიდის ტექსტები (მიზანი)
- სამუშაოების შეჯერების საინტერესო ტური დაგეგმეს (საფუძველი)

2.3. ჩასვით წინადადებებში ხაზგასმული სიტყვების სინონიმები:

- ამ მაღაზიას ბევრი კლიენტი აკითხავს, ალბათ კარგი მომსახურებაა
- ტურის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას კომპანიაში მიიღებთ
- ტურს პროფესიონალი ადამიანები გეგმავენ და ასრულებენ
- სალაშქრო ტური არც ისე რთულია, როგორც ბევრი ფიქრობს
- ტურის წარმატებას გამოცდილი ექსკურსიამძღოლი უზრუნველყოფს
- მოზრდნით და პირადად გაეცანით ჩვენს საქმიანობას
- მეგობრები ამ ამბავზე ბევრს საუბრობდნენ, განიხილავდნენ
- ანამ და შამილმა ობიექტების გრძელი სია შეადგინეს

2.4. ჩასვით წინადადებებში ხაზგასმული სიტყვების ანტონიმები:

1. საგამოცდო ტექსტი მარტივი იყო, არ ყოფილა.
2. შენი მეგობარი წარმატებული ადამიანია თუ?
3. როგორი აქტივობები უფრო მოგწონს, ინდივიდუალური თუ?
4. ძალიან მომწონს ძველი სურათების დათვალიერება, სურათების კი ნაკლებად.
5. გამოუცდელი გიდი ბევრ კითხვას უსვამს გიდს.

2.5. შეავსეთ ცხრილი სათანადო ზმნებით:

საწყისი	წარსული	ახლანდელი	მომავალი	თურმეობითი
შესრულება	შეასრულა	ასრულებს	შეასრულებს	შეუსრულებია
დამუშავება			დაამუშავებს	
გადაწყვეტა	გადაწყვიტა			
ჩაბარება		აბარებს		
შექმნა				შეუქმნია
შედგენა		ადგენს		
მომზადება			მოამზადებს	
დაწყება	დაიწყო			
დაგეგმვა				დაუგეგმავს
გაღება		აღებს		
დახურვა			დახურავს	

2.6. მიუწერეთ ზმნებს შესაბამისი სახელები და გადაიყვანეთ წარსულიდან მომავალ დროში:

ნიმუში: შეასრულა დედამ პირობა – შეასრულებს დედა პირობას

გადაწყვეტეს
 დავგეგმე
 მოამზადეთ
 გააღეს
 შექმნა
 ჩააბარეთ
 დაიწყო
 დაამუშავეს
 დახურა

2.7. გაიხსენეთ! უნდა + კავშირებითი (მოქმედება, რომელიც უნდა შესრულდეს)

გადაწერეთ წინადადებები, აუცილებელი მოქმედების გამოსახატავად გამოიყენეთ უნდა:

ნიმუში: ნათია გილის ტექსტს წერს - ნათიამ გილის ტექსტი უნდა დაწეროს

1. ხვალ ექსკურსიაა, ამიტომ ადრე ვდგები.

.....

2. საექსკურსიო ბარათების დამზადებას ვიწყებ.

.....

3. ტურისტის მოსამზადებელი სამუშაოები დავგეგმეთ.

.....

4. გრიგოლმა სანახავი ობიექტების სია შეადგინა.

.....

5. კომპანიის მენეჯერს თანამშრომლებმა ანგარიში ჩააბარეს.

.....

6. ტური გამოცდილმა გიდმა ჩაატარა.

.....

2.8. შეავსეთ ცხრილი ზმნის პასიური ფორმებით:

საწყისი	წარსული	ახლანდელი	მომავალი	თურმეობითი
შესრულება	შესრულდა	სრულდება	შესრულდება	შესრულებულა
დამუშავება		მუშავდება		
გადაწყვეტა			გადაწყდება	
ჩაბარება	ჩაბარდა			
შექმნა				შექმნილა
წერა		იწერება		
მომზადება			მომზადდება	
დაგეგმვა		იგეგმება		
გაღება	გაიღო			
დახურვა				დახურულა

2.9. გადაიყვანეთ ზმნები აქტივის ფორმიდან პასივში.

ნიმუში: ნანამ თამარის დავალება შეასრულა.

თამარის დავალება შესრულდა.

1. ნინომ სამუშაო ჯგუფთან ერთად ტურის დეტალები დაამუშავა

.....

2. ეს საკითხი ნათიამ მარტივად და უპრობლემოდ გადაწყვიტა.

3. თამარმა 4-კაციანი სამუშაო ჯგუფი შექმნა.

4. შემფასებელი ასეთ ნაშრომში მაღალ ნიშანს არ დაწერს.

5. საინფორმაციო ბროშურა დიზაინერმა 1 კვირაში მოამზადა.

6. კვირას სტუდენტებმა კახეთის ექსკურსია დაგეგმეს.

7. ცოტა მომხარებლის გამო მეპატრონემ მარკეტი დახურა.

8. დიდი ხნის წინ დაკეტილი კარი ძლივს გააღეს.

2.10. ტექსტში დასახელებული ტურისტული ობიექტებიდან შეარჩიეთ რომელიმე და დაწერეთ მცირე ინფორმაცია მის შესახებ.

ნაწილი III

გიდი და მუზეუმის ექსკურსია

3.1. დააკავშირეთ სიტყვები:

1. უნიკალური

2. არქეოლოგიური

3. სამუზეუმო

4. შემეცნებითი

5. კულტურული

5. დამოუკიდებლად

7. ტურისტული

8. გამოფენილ

9. დამოუკიდებლად

10. ჰომო

ა. ექსკურსია

ბ. ღირებულება

გ. დათვალიერება

დ. გეორგიკუსი

ე. დათვალიერება

ვ. ტურიზმი

ზ. ექსპონატები

თ. ჯგუფი

ი. ნიმუშები

კ. ექსპოზიციები

3.2. ჩასვით სიტყვები საჭირო ფორმით:

1. კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ტურისტებს მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა გადასცეს მუზეუმის შესახებ. (ნათიამ, ნათიას)
2. ტურიზმი გავლენას ახდენს მუზეუმების (განვითარებაში, განვითარებაზე)
3. ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს ჯგუფის ინტერესები. (გიდი, გიდმა)
4. კოლეგებთან ერთად შეადგინა ტურისტული ჯგუფისათვის საინტერესო პროგრამა. (ექსკურსიამძღოლი, ექსკურსიამძღოლმა)
5. პროგრამაში ყურადღება იყო გამახვილებული არქეოლოგიურ
(ექსპონატებში, ექსპონატებზე)
6. ცნობილია, რომ მუზეუმები კულტურული ტურიზმის მთავარი ნაწილია.
(ყველაზე, ყველასთვის)
7. გერმანიის შარშან ცხრა ათასზე მეტი თემატური გამოფენა მოაწყო.
(მუზეუმები, მუზეუმებმა)
8. კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ყველა ტურისტული ჯგუფი განსხვავებულია და მათი ინტერესები უნდა გაითვალისწინონ. (გიდებმა, გიდებს)
9. ძალიან უყვარს სამუზეუმო ექსპონატების დამოუკიდებლად დათვალიერება. (გიორგიმ, გიორგის)
10. ამ ძალიან ხშირად აქვს თემატური გამოფენები. (მუზეუმი, მუზეუმს)

3.3. შეავსეთ ცხრილის გამოტოვებული ადგილები:

თემა		მთქმელი
გამოთქმა	გამოსათქმელი	
აღმოჩენა		აღმომჩენი
დაწყება	დასაწყები	
მოწყობა		მომწყობი
განსაზღვრა	განსასაზღვრი	
მიცემა	მისაცემი	
გაკეთება		გამკეთებელი
დათვალიერება	დასათვალიერებელი	
მონახულება		მომნახულებელი
ნახვა		მნახველი

3.4. მიუწერეთ ზმნებს შესაბამისი სახელები და გადაიყვანეთ წარსულიდან მომავალ დროში.

ნიმუში: მოაწყო გიგანტი ექსკურსია - მოაწყო გიგანტი ექსკურსიას

აღმოაჩინა
 აღმოჩნდა
 განსაზღვრა
 მისცა
 დაიწყო

3.5. შეავსეთ ცხრილი სათანადო ზმნებით:

აღმოჩენა			აღმოაჩინა მან ის		
	აღმოჩნდება ის			უნდა აღმოჩნდეს ის	
დაწყება		დაიწყებს ის მას			
მოწყობა		მოაწყობს ის მას			
			განსაზღვრა მან ის		არ განუსაზღვრავს მას ის
	აძლევს ის მას მას	მისცემს ის მას			

3.6. გამოიყენეთ ზმნების თურმეობითი ფორმები და დაწერეთ მოცემული წინადადებები:

ნიმუში: მეცნიერმა ცხოველთა ნაშთები აღმოაჩინა.

მეცნიერს ცხოველთა ნაშთები არ აღმოუჩენია.

- ამ ადგილას მეტად საინტერესო ნიმუშები აღმოჩნდა.
.....
- გიგანტი მალე ექსპონატებზე საუბარი დაიწყო.
.....
- ექსკურსიამძღოლმა მთელი პროგრამა თვითონ განსაზღვრა.
.....
- მუზეუმმა მეტად საინტერესო თემატური გამოფენა მოაწყო.
.....
- ამ გიგანტი მეტად საინტერესო ინფორმაცია მოამზადა ტურისტებისთვის.
.....
- გურამმა კარგი პროგრამა შეადგინა.
.....
- გიგანტი გადაწყვიტა ტურისტებისთვის დრო მიეცა დამოუკიდებლად დათვალიერებისთვის.
.....

8. ნათიამ ექსკურსიისთვის სამეცნიერო ლიტერატურა დაამუშავა.

9. მუზეუმმა დროებით ოქროს ფონდი დახურა.

10. მუზეუმმა დაგეგმა მომავალი წლის თემატური გამოფენები.

3.7. ცხრილში მოცემულია პასიური მოქმედების (ვნებითის) ფორმები. შეადგინეთ წინადადებები ამ ფორმების გამოყენებით:

საწყისი	ახლანდელი	მომავალი	წარსული	მომავალი + უნდა	თურმეობითი
აღმოჩენა	აღმოჩნდება ის	აღმოჩნდება ის	აღმოჩნდა ის	უნდა აღმოჩნდეს ის	არ აღმოჩენილა ის
დაწყება	იწყება ის	დაიწყება ის	დაიწყო ის	უნდა დაიწყოს ის	არ დაწყებულა ის
მოწყობა	ეწყობა ის	მოეწყობა ის	მოეწყო ის	უნდა მოეწყოს ის	არ მოწყობილა ის
განსაზღვრა	განისაზღვრება ის	განისაზღვრება ის	განისაზღვრა ის	უნდა განისაზღვროს ის	არ განსაზღვრულა ის
მიცემა	ეძლევა ის მას	მიეცემა ის მას	მიეცა ის მას	უნდა მიეცეს ის მას	არ მისცემია ის მას

ნიმუში: არქეოლოგიური გათხრების დროს ბევრი საინტერესო ნივთი აღმოჩნდა.

3.8. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შესახებ.

ასევე მოიძიეთ ინფორმაცია ინტერნეტში გვერდზე: **მუზეუმების, ქუთაისის მუზეუმის**

უმდიდრესი კოლექცია: <https://www.youtube.com/watch?v=jC5RJLixzok&t=606s>

გამოიყენეთ ეს ინფორმაცია და დაწერეთ ექსკურსიამძღოლის ტექსტი. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ატარებთ ექსკურსიას, ხოლო ჯგუფში არიან საშუალო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლეები. ეცადეთ ტექსტი შეადგინოთ ისე, რომ გაითვალისწინოთ მოსწავლეების ინტერესები და სურვილები.


წარმოადგინეთ ყოველივე ეს ჯგუფის წინაშე.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

- დაარსდა 1912 წელს;
- დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები;
- 200-150 მილიონი წლის წინანდელი პალეონტოლოგიური მასალა;
- მონეტები, ცხოველების, ფრინველების, ზღვის ბინადართა, ხეების გაქვავებული ნიმუშები;
- გეოლოგიური მასალა;
- არქეოლოგიური კოლექცია პალეოლითიდან შუა საუკუნეების ჩათვლით;
- სანადირო იარაღები;
- ბრინჯაოს მინიატურული ქანდაკებები;
- ანტიკური ხანის მინის და რკინის ნაკეთობები;
- ალექსანდრე მაკედონელის რამდენიმე ნივთი;
- ბერძნული, რომაული, კოლხური ფულის მონეტები;
- ქართველი მეფეების მიერ მოჭრილი ფულის მონეტები;
- ოქრომჭედლობის უძველესი ნიმუშები;
- ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები;
- ისტორიული დოკუმენტები;
- ქართველ და უცხოელ ფოტოხელოვანთა მიერ გადაღებული ფოტოები;
- მხატვრობის ნიმუშები - 200 000 ექსპონატი;
- სამეცნიერო ბიბლიოთეკა და უძველესი ისტორიის ფონდი.

საპრეზენტაციო თემა

მომზადეთ პრეზენტაცია და გილის ტექსტი მოცემულ თემაზე:



სამეგრელო-ზემო სვანეთი



დაუკვირდით რუკას და ისაუბრეთ რეგიონის შესახებ:

1. სადაა ეს რეგიონი?
2. რომელი კუთხეები ესაზღვრება რეგიონს?
3. იპოვეთ ინტერნეტში ინფორმაცია (მაგალითად, ვიკიპედიაში) ამ რეგიონის მოსახლების, ადმინისტრაციული ცენტრის, ქალაქებისა და სოფლების შესახებ.
4. მოიძიეთ ინფორმაცია, რომელი ადგილებია ტურისტებისათვის საინტერესო ამ რეგიონში?
5. დაგეგმეთ ტური რეგიონში მოგზაურობით დაინტერესებული პირებისათვის.
6. რა მარშრუტს შეადგენდით თქვენი ტურისტული ჯგუფისათვის? დაასაბუთეთ, რატომ.
7. მოიპოვეთ ინფორმაცია თქვენს მარშრუტში შემავალი ადგილების შესახებ.
8. შეადგინეთ ტექსტი ტურისტებისათვის: რა ინფორმაციით დაიწყებდით საუბარს ტურისტებთან?
9. რა ინფორმაციას მიაწვდით მათ ამ ადგილების შესახებ?
10. გააცანით ჯგუფს გიდის ტექსტი.



კორცხელის მონასტერი



ცაიშის მონასტერი



დადიანის სასახლე

ტაპი VI

ტურიზმის მარკეტინგი და რეკლამა

ნაწილი I

ტურიზმი და რეკლამა

1.1. დააკავშირეთ სიტყვები:

- | | |
|---------------------|---------------|
| 1. რეკლამის | ა. ბაზარზე |
| 2. ხელის | ბ. თქმით |
| 3. ბაზრის | გ. გამართვა |
| 4. ტურისტულ | დ. გარეშე |
| 5. საიმიჯო | ვ. პროდუქტი |
| 6. ხელმძღვანელის | ზ. კვლევა |
| 7. პრესკონფერენციის | თ. შეწყობა |
| 8. ტურისტული | ი. ვიდეორგოლი |

1.2. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სათანადო ფორმით:

- სარეკლამო შინაარსი საზღვაო და სამთო, ბუნების,, სამზარეულოს, კულტურის, სათავგადასავლო და პოპულარიზაცია იქნება (კამპანია, კურორტები, ღვინო, ეკოტურიზმი)
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ზაფხულის 14 მიზნობრივ იწყებს მარკეტინგულ კამპანიას (სეზონი, ბაზარი)
- ზაფხულის სარეკლამო რგოლები წამყვან სატელევიზიო განთავსდება (არხები)
- ინტერნეტკამპანია 25 30 ჩათვლით მრავალ ქვეყანაში ჩატარდება (მარტი, ივნისი).
- ონლაინ 3498 336 ლარი, ხოლო სატელევიზიო 4 091500 ლარი დაიხარჯება (კამპანია, რეკლამა)
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია უკვე მესამე წელია თანამშრომლობს (კომპანია).

1.3. შემოხაზეთ, რომელი ვარიანტით შეიძლება ჩავანაცვლოთ ხაზგასმული სიტყვა:

- გამთრის სეზონის სარეკლამო რგოლი „ბიბისის“ მაყურებელმა 246-ჯერ იხილა.
 ა) ნახა; გ) მოიხიბლა ვ) მოეწონა
- მსგავსი რეკლამა ხელს შეუწყობს საქართველოს პოპულარიზაციას მსოფლიოში.
 ა) დააწყობს; ბ) დაეხმარება; გ) დააწყნარებს

3. ზაფხულის სარეკლამო რგოლები წამყვან სატელევიზიო არხებზე განთავსდება.

- ა) მოწინავე; ბ) წაყვანილი; გ) მოწყენილი

1.4. ჩაანაცვლეთ ხაზგასმული სიტყვები სინონიმებით:

1. ზაფხულის სეზონისათვის კომპანიამ ტურისტული ბაზრის კვლევა დაიწყო.
2. საბოლოო გადაწყვეტილებას ამ სფეროს წარმომადგენლები მიიღებენ.
3. პრესკონფერენცია სიახლეების შესახებ ტურიზმის ეროვნულმა სააგენტომ ჩაატარა.
4. სარეკლამო განცხადებები დაინტერესებულმა მკითხველმა ტელევიზიით ნახა.
5. საერთაშორისო ღონისძიებას მოწინავე კომპანიების წარმომადგენლები დაესწრნენ.
6. მიიჩნევენ, რომ მთის კურორტების განვითარება ტურისტების რაოდენობას გაზრდის.

1.5. ჩაწერეთ ხაზგასმული სიტყვების ანტონიმები:

1. ყველა ადამიანს აქვს და სუსტი მხარეები.
2. ჩვენს ტურისტულ კომპანიას არ აქვს პროექტები, ჩვენ მხოლოდ წარმატებულ პროექტებს ვგეგმავთ.
3. ამ კომპანიის მომსახურებით სარგებლობენ უცხოელი და ტურისტები.
4. არაფერია , თუ ადამიანი მოინდომებს, ყველაფერი შესაძლებელია.

1.6. გაიხსენეთ თანდებულები (-დან -მდე, +ის ჩათვლით) და დაწერეთ მოცემული კითხვების სავარაუდო პასუხები.

1. როდის გაქვს არდადეგები?
.....
2. რა მარშრუტს გაივლის ავტობუსი?
.....
3. როდისაა შესაძლებელი ავიაბილეთების შეძენა?
.....
4. რა მანძილია ფოთიდან თბილისამდე?
.....
5. როდის გაიმართება ფილმის პრემიერა კინოდარბაზებში?
.....

1.7. ჩაწერეთ ზმნების აქტიური ფორმები:

საწყისი	წარსული	ახლანდელი	მომავალი	თურმეობითი
კვლევა	გამოიკვლია	იკვლევს	გამოიკვლევს	გამოუკვლევია
ჩამოყალიბება	ჩამოაყალიბა			
განხორციელება		ახორციელებს		

განვითარება			განავითარებს	
მომზადება				მოუმზადებია
გაგრძელება	გააგრძელა			
დაწყება		იწყებს		
გამართვა			გამართავს	

1.8. ჩაწერეთ ზმნების პასიური ფორმები:

საწყისი	წარსული	ახლანდელი	მომავალი	თურმეობითი
ჩამოყალიბება	ჩამოყალიბდა	ყალიბდება	ჩამოყალიბდება	ჩამოყალიბებულა
განხორციელება	განხორციელდა			
განვითარება			განვითარდება	
მომზადება		მზადდება		
გაგრძელება	გაგრძელდა			
დაწყება	დაიწყო (ის)			დაწყებულა
გამართვა		იმართება		

1.9. გადაიყვანეთ წინადადებები აქტივიდან პასივში (მოქმედებითიდან ვნებითში):

1. ახალმა კომპანიამ საინფორმაციო შეხვედრა გამართა.

.....

2. სტუმრებისათვის გემრიელი ტკბილეული მოამზადეს.

.....

3. ინვესტორებმა ამ რეგიონში მრავალი პროექტი განახორციელეს.

.....

4. სტუდენტებმა სწავლა ისევ მეორე ეტაპიდან გააგრძელეს.

.....

5. ექიმი პაციენტებთან შეხვედრას ხვალ დაიწყებს.

.....

6. მეგობრებმა ახალი ტურისტული სააგენტო 2 თვის წინ ჩამოაყალიბეს.

.....

1.10. გაიხსენეთ გარეშე, გარდა, შესახებ თანდებულთა ფუნქციები.

ჩასვით წინადადებებში სიტყვები სათანადო ფორმით და დაურთეთ საჭირო თანდებულები:

1. გარეთ ძალიან ცივა, (ქუდი) ნუ გახვალ.
2. გაიგეთ ახალი ამბავი (სპელეოტურიზმი) ?
3. ექსკურსიაზე (მასწავლებელი) მშობლებიც წამოვიდნენ.
4. (გიდი) ამ ისტორიას არავინ მოგიყვებათ.
5. (მოგზაურობა) შთაბეჭდილებას გაგიზიარებთ.
6. ხვალ ალბათ სახლში არ ვიქნები, (დარეკვა) ნუ მოხვალ.

1.11. დაწერეთ სარეკლამო ტექსტი.

წარმოიდგინეთ, რომ მომხმარებელს სთავაზობთ დასვენებას საქართველოს რომელიმე კურორტზე. შექმენით მცირე ტექსტი, რომელშიც შერჩეული ადგილის შესახებ ისაუბრებთ, მის უპირატესობებზე მიუთითებთ და კლიენტს დააინტერესებთ!

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ნაწილი II

ტურიზმი და სახელმწიფო პოლიტიკა

2.1. დააკავშირეთ სიტყვებთან საჭირო განმარტებები:

სიტყვა	განმარტება
1. მხარდაჭერა	ა. კაპიტალის დაბანდება
2. ინიციატივა	ბ. სპორტის რაიმე სახეობაში გამართული შეჯიბრება, რომელმაც უნდა გამოავლინოს გამარჯვებული
3. ჩემპიონატი	გ. თაოსნობა რაიმე საქმეში
4. ინვესტიცია	დ. რისამე ფართო მასშტაბში გავრცელება, ყველასათვის ხელმისაწვდომად ქცევა
5. ბიუჯეტი	ე. მიმხრობა (ემხრობა, მხარს უჭერს)
6. პოპულარიზაცია	ვ. სახელმწიფოს, დაწესებულების ან ვისიმე პირადი შემოსავალი და ხარჯები

2.2. დააკავშირეთ სიტყვები:

- | | |
|------------------|------------------|
| 1. კრიტიკის | ა. მასშტაბით |
| 2. ქვეყნის | ბ. მიუხედავად |
| 3. ღონისძიებების | გ. პოპულარიზაცია |
| 4. მთავრობის | დ. ეპოქა |
| 5. ქვეყნის | ე. ორგანიზება |
| 6. აღორძინების | ვ. ინიციატივა |

2.3. ჩასვით სიტყვები საჭირო ფორმით:

- საქართველოს (მთავრობა) ინიციატივითა და (მხარდაჭერა) მომზადდა პროექტი „ჩექ ინ ჯეორჯია.“
- პროექტი მოიცავს უმნიშვნელოვანესი სპორტული და კულტურული ღონისძიებების (ორგანიზება) ქვეყნის (მასშტაბი).
- ჩატარდა ქეთი მელუასა და სხვა მსოფლიო დონის (ვარსკვლავები) კონცერტები შეკვეთილში.
- 2017 წელს განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, მაგალითად- ევროპის ჩემპიონატი ... (ფრენბურთი) ქალთა შორის.
- ყველა თანხმდება, რომ (სახელმწიფო) უნდა იზრუნოს ქვეყნის (პოპულარიზაცია).
- ტურიზმის (განვითარება) ხელშეწყობა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო (პოლიტიკა) მნიშვნელოვანი ნაწილია.

2.4. გაიხსენეთ! შეარჩიეთ საჭირო სიტყვა: ქართველი თუ ქართული?

- მსოფლიოში ცნობილია *ქართველი/ქართული* სტუმართმოყვარეობა.
- ქართული/ქართველი* ღვინო მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.
- საერთაშორისო კონკურსში *ქართველმა/ქართულმა* მოსწავლეებმა გაიმარჯვეს.
- ტურისტებს მოსწონთ *ქართული/ქართველი* სამზარეულო.
- სამთო ტურიზმით რამდენიმე *ქართველი/ქართული* კომპანიაა დაკავებული.
- ქართული/ქართველი* ბიზნესის სამომავლო გეგმებზე სტატია გამოქვეყნდა.

2.5. ჩაწერეთ ხაზგასმული სიტყვების სინონიმები:

- აგვისტოში ცნობილი მომღერლის კონცერტი ჩატარდება
- ბევრი ღონისძიების ერთად ორგანიზება ადვილი არაა
- სასწავლებლად საბუთები გავაგზავნე და დადასტურება გუშინ მივიღე
- ეს ულამაზესი ქვეყანა ბევრ ტურისტს იზიდავს

2.6. ჩასვით ხაზგასმული სიტყვების ანტონიმები:

1. ტურისტულ ბაზარზე არის როგორც სახელმწიფო, ასევე კომპანიები.
2. გიდისთვის არ არსებობს და უმნიშვნელო საკითხი ან ტურისტი.
3. შეგიძლიათ უარყოთ ან მომსახურების მოსაზრებას.
4. უამრავი ინფორმაციიდან მხოლოდ იყო საინტერესო.

2.7. გაიხსენეთ.

მოცემულ წინადადებებში გამოიყენეთ უნდა, დააკვირდით შინაარსს და ზმნათა ფორმებს:

ნიმუში: პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები გაფხულში ჩატარდება.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები გაფხულში უნდა ჩატარდეს.

1. ნათია გიდის საინტერესო ტექსტს წერს.
.....
2. გრიგოლმა ახალციხის მუზეუმის შესახებ სტატია მოამზადა.
.....
3. საბალეტო ფესტივალი თბილისში გაიმართა.
.....
4. იტალიის საელჩოსთან თანამშრომლობით სამი გამოფენა დაიგეგმა.
.....
5. პროექტი უამრავ ტურისტს მოიზიდავს.
.....
6. ადგილობრივი მმართველობა ინფრასტრუქტურის მოწყობაზე ზრუნავს.
.....

2.8. შეავსეთ ცხრილი აქტიური ზმნებით:

საწყისი	წარსული	ახლანდელი	მომავალი	უნდა/ არ უნდა	თურმე
მომზადება	მოამზადა	ამზადებს	მოამზადებს	მოამზადოს	მოუმზადებია
შეძენა		იძენს			
დაგეგმვა	დაგეგმა				
ჩატარება				ჩაატაროს	
გამართვა					გაუმართავს
მოწყობა		აწყობს			
შეადგენს			შეადგენს		
დახარჯვა	დახარჯა				

2.9. გაითვალისწინეთ.

შეადგინეთ მცირე ტექსტი, რომელშიც გამოიყენებთ სიტყვებს: **უამრავი, არაერთი, რამდენიმე** (ყურადღება მიაქციეთ სახელისა და ზმნის რიცხვის ფორმებს).

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

2.10. შეავსეთ ცხრილი ზმნების პასიური ფორმებით:

საწყისი	წარსული	ახლანდელი	მომავალი	უნდა/ არ უნდა	თურმე
მომზადება	მომზადდა	მზადდება	მომზადდება	მომზადდეს	მომზადებულა
დაგეგმვა	დაიგეგმა				
ჩატარება			ჩატარდება		
გამართვა		იმართება			
დახარჯვა				დაიხარჯოს	

2.11. წაიკითხეთ ყურადღებით, ჩასვით ხაზგასმული ზმნების აქტივის ფორმები.

პროექტ Check in Georgia-ს ფარგლებში **ორგანიზატორებმა** უკვე **დოგეგმა** და **ჩატარდა** ...
 129 ღონისძიება. მათ შორის აღსანიშნავია ენო მორიკონეს, „აეროსმიტის“,
 ქეთი მელუასა და სხვა მსოფლიო დონის ვარსკვლავების კონცერტები შეკვეთილში. პროექტის ფარგლებში
 აჭარაში გაიმართა ჯიფსი კინგისა, მარუნ ფაივისა და ძალიან ცნობილი
 ჯგუფების კონცერტი. ბათუმში მოეწყო არაერთი ფოლკლორული სანახაობა და
 ფესტივალი, გაიმართა ექსპერიმენტული სპექტაკლები,
 ჩატარდა ტრადიციული ჯაზ ფესტივალი და სხვა უამრავი ღონისძიება.

2.12. დაწერეთ.

შექმენით მცირე ტექსტი, რომელშიც ისაუბრებთ რომელიმე კურორტის/ადგილის უნიკალურობასა და მისი პოპულარიზაციის აუცილებლობაზე (კურორტი თავად შეარჩიეთ).

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ნაწილი III

საქართველოს პოტენციალი და განვითარების ტენდენციები

3.1. დააკავშირეთ სიტყვები:

- | | |
|-------------------------|-------------------|
| 1. კარგი | ა. დახაზული |
| 2. საჩვენებელი | ბ. გზა |
| 3. მუზეუმების | გ. ისტორიაში |
| 4. სივრცის დაგეგმარების | დ. ქსელი |
| 5. ალპინიზმის | ე. გახსნილი |
| 6. ყურადღების | ვ. აქვს / გააჩნია |
| 7. პოტენციალი | ზ. ადგილი |
| 8. ყველა მხრიდან | თ. წლიდან |
| 9. უნიკალური | ი. ცენტრში |
| 10. მისასვლელი საბაგირო | კ. ექსპერტი |
| 11. მომავალი | ლ. ხედები |
| 12. ხელით | მ. შესაძლებლობა |

3.2. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები შესაბამის წინადადებაში:

მშენებლობა გახსნილი	შესაძლებლობა ცნობილი	გადაწყვეტილება იდეალურია	ურთიერთობის ქსელს	პოტენციალს უნიკალურ
------------------------	-------------------------	-----------------------------	----------------------	------------------------

- რაინჰოლდ მესნერი მსოფლიოში მთამსვლელია.
- მესნერი წლებია, იტალიაში ალპების მუზეუმების ავითარებს.
- „კავკასიის მთის ცენტრი“ მოიზიდავს უამრავ ტურისტს, რომლებიც სვანეთის კულტურას ეზიარებიან.

4. „კავკასიის მთის ცენტრის“ შექმნის შესახებ მესნერმა 2017 წლის ივლისში, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ მიიღო.
5. რაინჰოლდის თქმით, საქართველოს მთები ალპინიზმისა და სამთო ტურიზმის განვითარებისათვის.
6. მესნერის აზრით, პროექტი არის დიდი საქართველოსათვის, მოექცეს მსოფლიო ალპინიზმის ყურადღების ცენტრში.
7. მესნერის ხელით დახაზული სქემის მიხედვით, ესაა ყველა მხრიდან მუზეუმი
8. უნიკალური პროექტი ჩვენი ქვეყნის ტურისტულ საუკეთესოდ წარმოაჩენს მსოფლიოში.
9. მუზეუმის მომავალი წლიდან დაიწყება.
10. „კავკასიის მთის ცენტრი“ მთელ მსოფლიოს მოუთხრობს ადამიანისა და მთის
... შესახებ.

3.3. ჩასვით შესაბამის წინადადებაში საჭირო ფრაზოლოგიზმი:

- ბიძგს მისცემს - დაეხმარება განვითარებაში.
- არაფრით ჩამოუვარდება - ნაკლები არ არის, მისი მსგავსია.
- კულტურას ეზიარებიან - კულტურას გაეცნობიან, კულტურას გაითავისებენ.

1. ახალი კანონი სერიოზულ ეკონომიკას.
2. მთის ტურიზმის განვითარება მოიზიდავს უამრავ ტურისტს, რომლებიც ჩვენს უნიკალურ
3. ეს ვიტამინები გემრიელ ტკბილეულებს, მეტიც ისინი ძალიან სასარგებლოა!
4. საბაფხულო სკოლაში სტუდენტები ენის შესწავლასთან ერთად გერმანულენოვან
.....
5. აეროდრომი ძალიან მნიშვნელოვან რაჭაში ტურიზმის განვითარებას.
6. სამეფო კლუბი ბარსელონას და დარწმუნებული ვარ ჩვენ მათ ვაჯობებთ.
7. ახალი პროექტი ძალიან დიდ ტურიზმის განვითარებას.
8. ბავშვები განსხვავებულ და ითვისებენ იმ უნარებს, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია ტოლერანტული ადამიანისთვის.
9. ჩვენი ჯაბფესტივალი უცხოურს
10. მისი ჩამოსვლა ბიზნეს-დელეგაციასთან ერთად მნიშვნელოვანი იქნება და ახალ ჩვენს ურთიერთობებს.

11. მოუბრუნეთ საკუთარი გუნდი “ბარსელონას” შეადარა. “არ ვამბობ, რომ “რეალი” “ბარსელონაზე” უკეთესია, თუმცა
12. ქართული ბენდები ამერიკულ და ევროპულ ჯგუფებს!
13. ეს ვიზიტი უნდა განვიხილოთ, როგორც დასაწყისი, რომელიც ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას.
14. ფერადგანიანმა მოდელმა დაამტკიცა, რომ ცნობილ სუპერმოდელებს
15. ტურისტები ამ ადგილებში უძველეს

3.4. შეავსეთ ცხრილი გზის გამოტოვებული ფორმებით:

საწყისი	ახლანდელი	მომავალი	წარსული	მომავალი + უნდა	თურმეობითი
	მსჯელობის ის (-ზე)				უმსჯელია მას (-ზე)
განხორციელება		განახორციელებს ის მას			
	ხორციელდება ის				
შექმნა	ქმნის ის მას				
	იქმნება ის				
წვევა	ეწვევა ის მას	ეწვევა ის მას	ეწვია ის მას	უნდა ეწვიოს ის მას	სწვევია ის მას
მოქცევა		მოაქცევს ის მას (-ში)			
	ექცევა ის (-ში)				
წარმოჩენა	წარმოაჩენს ის მას				
	წარმოჩნდება ის				

3.5. ჩასვით გზისათვის შეწყობილი სახელები სწორი ფორმით:

1. ერთად უნდა იმსჯელონ მომავალ პროექტზე. (სტუდენტები)
2. პროგრამა საერთაშორისო ფონდის დახმარებით განახორციელა. (კომპანია)
3. კარგი უნდა შექმნას ტურიზმის შემდგომი განვითარებისთვის. (მთავრობა, პირობები)

4. ტურიზმის განვითარებისთვის რეგიონში კარგიუნდა შეიქმნას. (პირობები)
5. პროგრამის ფარგლებშიტურისტების დიდი რაოდენობა უნდა ეწვიოს.
(რეგიონი)
6. კარგად წარმოაჩინა ტურიზმის განვითარების ტენდენციები ბოლო წლების განმავლობაში. (სტატისტიკური მონაცემები)
7. ბევრ საინტერესო ახორციელებს ამ მხარეში.
(მთავრობა, პროგრამა)
8. იქცევს ის, რომ ტურისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა პროგრამის ამუშავების შემდეგ. (ყურადღება)
9. წელს უამრავი ეწვია. (სვანეთი, ტურისტი)
10. წელს ახალი პროგრამა არ შეუქმნია ტურისტებისთვის. (კომპანია)

3.6. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით. დააკვირდით ზმნასთან შეწყობილი სახელების ბრუნვის ფორმებს:

უნდა შექმნას (მან ის)

ახორციელებს (ის მას)

არ წარმოუჩენია (მას ის)

არ წარმოჩენილა (ის).....

უნდა განხორციელდეს (ის).....

ქმნის (ის მას)

ეწვევა (ის მას)

უნდა ეწვიოს (ის მას)

იმსჯელეს (მათ).....

უნდა იმსჯელონ (მათ).....

3.7. წაიკითხეთ ტექსტი, უცნობი სიტყვები ან ფრაზები გახაზეთ და დაამუშავეთ ჯგუფში:

ტურიზმის მომსახურება გამოირჩევა სხვადასხვა მახასიათებლით. უპირველეს ყოვლისა, ტურიზმის მომსახურება არამატერიალურია. ამასთანავე, ტურიზმი სეზონურია. წლის განმავლობაში არის კვირები და თვეები, როდესაც პროდუქტზე მოთხოვნა დიდია და პერიოდები, როდესაც მასზე მოთხოვნა მცირეა. სეზონურობას ძირითადად იწვევს კლიმატი, სასწავლო არდადეგები და შვებულებები. რა თქმა უნდა, ამას თავისი უარყოფითი მხარე აქვს. პირველ რიგში, ტურისტული ადგილის მაქსიმალური დატვირთვის დროს, შესაძლოა გადაიტვირთოს და გაჩნდეს უკმაყოფილება ტურისტების მხრიდან. სეზონურობა იწვევს უმუშევრობასაც. არასეზონურ პერიოდში გარკვეული ტიპის პერსონალზე იკლებს მოთხოვნა და ეს ადამიანები რჩებიან დაუსაქმებლები. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, ზოგიერთმა ქვეყანამ, მაგალითად, ჩინეთმა შეცვალა არდადეგებისა და შვებულებების სისტემა. არდადეგებისა და შვებულებების დღეების რაოდენობა გადანაწილდა წლის სხვადასხვა პერიოდზე (ოთხ-ოთხი არდადეგები/შვებულება დროის მცირე

მონაკვეთებით). ამ გადაწყვეტილებით ჩინეთმა მოაგვარა ჩინეთის დიდ კედელზე არსებული რიგების პრობლემა და რესურსების ფუჭად მოცდენა.

ტურიზმის სექტორს სჭირდება აეროპორტები, რკინიგზა, საავტომობილო გზები, საბაგირო გზები, საკრუიზო გზები, ყველა ესენი საკმაოდ დიდ ინვესტიციას მოითხოვს, თუმცა მათი უმეტესობა ემსახურება არა მარტო ტურიზმის სექტორს, არამედ ეროვნული ეკონომიკის სხვა სფეროებსაც.

სახელმწიფო თანაბრად ორიენტირებული უნდა იყოს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმზე. სახელმწიფო უნდა ცდილობდეს შიდა ტურიზმის განვითარებას, რათა ადამიანებისთვის თავიანთი სამშობლო მიმზიდველი ტურისტული ადგილი გახდეს და შემოსავლები ადგილობრივ მომსახურებაში გადაიხადოს.

ჩვენს ქვეყანაში ხშირად იქმნებოდა პოლიტიკურად არამდგრადი სიტუაცია, რაც პირდაპირ აისახება უცხოელ მომხმარებელზე, რომელიც ტურისტული პაკეტის შერჩევისას პირველ რიგში ტურისტული დანიშნულების ადგილისგან უსაფრთხოებასა და პოლიტიკურ მდგრადობას ითხოვს. ობიექტურად უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ტურისტული პოტენციალი ჯერჯერობით კარგად არ არის ცნობილი ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე.

თავდაპირველად, საქართველოს სტუმრები კავკასიელი ტურისტები იყვნენ, რომელთათვისაც მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო საქართველო. ბოლო პერიოდში მდგომარეობა ნელ-ნელა იცვლება და ტურისტული ნაკადები ევროპიდანაც იწყებს შემოსვლას. ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხოება (როგორც გარემოსი, ასევე შენობების), თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა (განსაკუთრებით სასტუმროს სექტორში) და რაც მთავარია, მომსახურე პერსონალის გადამზადება. აუცილებელია ტურისტული დანიშნულების ადგილების, სასტუმროს, კვების ობიექტებისა და სხვა ადგილებში მომუშავე პერსონალის ინფორმირება/გადამზადება თანამედროვე სტანდარტების მიხედვით, რათა მათ შეძლონ უპასუხონ მომხმარებლების თანამედროვე მოთხოვნებს.

საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე წარმოდგენილი სასტუმროები და ტურ-ოპერატორები იყენებენ დაჯავშნის თანამედროვე სისტემას. ეს სისტემა მოსახერხებელია როგორც მომხმარებლისთვის, ისე მიმწოდებლისთვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში წამყვან სასტუმროებსა და ტუროპერატორულ ორგანიზაციებში ეს სისტემები დანერგილია და წარმატებით ხორციელდება მათი გამოყენება.

სახელმწიფომ, ტურიზმის მხარდაჭერისთვის, სწორად უნდა მიიღოს ისეთი რეგულაციები, რომლებიც უკავშირდება, მაგალითად, სავიზო რეჟიმს, საბაჟო გადასახადს. საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლება იქ, სადაც პროდუქტზე მოთხოვნა მაღალია, დამატებითი სტიმული ხდება მომხმარებლისთვის პროდუქტით ისარგებლოს. ამის კარგი მაგალითია ის, რომ ბევრი ტურისტი ახლო აღმოსავლეთის გავლით მგზავრობისას ირჩევს თვითმფრინავებს, რომლებიც ჩერდებიან დუბაიში, ვინაიდან იქ ბაჟისაგან გათავისუფლებული საქონელი ძალიან იაფია. სახელმწიფო ასევე აქტიურად უნდა ახალისებდეს სხვადასხვა გრანტებით საწარმოებსა და ინვესტორებს, რათა მათ აწარმოონ ტურისტული პროდუქტი და, რაც მთავარია, ეს წარმოება არ უქმნიდეს საფრთხეს ეკოლოგიასა და საზოგადოების უსაფრთხოებას.

საქართველოს ტურისტული პოტენციალი საკმაოდ დიდია. ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის საჭიროა ამ პოტენციალის სწორად გამოყენება. ტურიზმის სექტორი უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მოწინავე დარგი.

3.8. ტექსტის მიხედვით ზეპირად იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

- გამოყავით ტურიზმის მთავარი ნიშნები;
- ისაუბრეთ, ტექსტის მიხედვით, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოსთვის;
- რა და როგორ უნდა შეიცვალოს საქართველოში, რომ უკეთესი ვითარება იყოს ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით.


3.9. ტექსტის და მთელი თავის გაანალიზების შემდეგ დაწერეთ ტექსტი:

ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში


[illegible]

საპრეზენტაციო თემა

მომზადეთ პრეზენტაცია და გიდის ტექსტი მოცემულ თემაზე:



გურია და აჭარა



დაუკვირდით რუკას და ისაუბრეთ რეგიონის შესახებ:

1. სადაა ეს რეგიონი?
2. რომელი კუთხეები ესაზღვრება რეგიონს?
3. იბოვეთ ინტერნეტში ინფორმაცია (მაგალითად, ვიკიპედიაში) ამ რეგიონის მოსახლების, ადმინისტრაციული ცენტრის, ქალაქებისა და სოფლების შესახებ.
4. მოიძიეთ ინფორმაცია, რომელი ადგილებია ტურისტებისათვის საინტერესო ამ რეგიონში?
5. დაგეგმეთ ტური რეგიონში მოგზაურობით დაინტერესებული პირებისათვის.
6. რა მარშრუტს შეადგენდით თქვენი ტურისტული ჯგუფისათვის? დაასაბუთეთ, რატომ.
7. მოიბოვეთ ინფორმაცია თქვენს მარშრუტში შემავალი ადგილების შესახებ.
8. შეადგინეთ ტექსტი ტურისტებისათვის: რა ინფორმაციით დაიწყებდით საუბარს ტურისტებთან?
9. რა ინფორმაციას მიაწვდით მათ ამ ადგილების შესახებ?
10. გააცანით ჯგუფს გიდის ტექსტი.



მდინარე ბჟუჟისა და სოფელ შემოქმედის ხედი შემოქმედის მონასტრიდან

1. დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყუები:

1. ფიზიკური	ა) მომსახურება
2. თავისუფალი	ბ) შრიფტი
3. ინკლუზიური	გ) მაკეტი
4. სრული	დ) ადაპტირება
5. ძეგლების	ე) მოსიარულე
6. ბრაილის	ვ) შეზღუდუა
7. ეტლით	ზ) ტურიზმი
8. ტაძრის	თ) შესასვლელი
9. პანდუსის	ი) გადაადგილება
10. ცენტრალური	კ) დამონტაჟება

2. ჩასვით წინადადებებში გამოტოვებული ფრაზები:

თანაბარი უფლება მისაწვდომი ტურიზმი ძეგლების ადაპტირება ყველაზე მიმზიდველი ბრაილის შრიფტი	სხვადასხვა ქვეყანაში სოციალური პასუხისმგებლობა. სამონასტრო კომპლექსი სრული მომსახურება ტურისტული ადგილები
--	---

- ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფალი გადაადგილებისა და ტურისტული მომსახურების
- ინკლუზიური ტურიზმის განვითარება არის საზოგადოების
- ავსტრალიაში ინკლუზიურ ტურიზმს ეწოდება
- სასტუმრომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შესთავაზა.
- საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ყველა სახის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მცხეთის ისტორიული დაასრულა.
- პროექტის ფარგლებში შშმ პირთათვის მოეწყო შიო მღვიმის
- ტურისტულად ადგილია მცხეთა.
- ინკლუზიური ტურიზმის მომხმარებლებს არაერთ პროდუქტს სთავაზობენ.
- მნიშვნელოვანია, რომ შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომი იყოს ქვეყნის მასშტაბით.
- უსინათლოთათვის ეკლესიასთან დაიდგა დაწერილი ინფორმაცია.

3. აირჩიეთ სწორი ვარიანტი და გაუსვით ხაზი, არასწორი ვარიანტი გადახაზეთ:

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის **ნაციონალური /ეროვნული** ადმინისტრაციის **მხარდაჭერა / მხარდაჭერით** ინკლუზიური ტურიზმის ცენტრი „პარსა“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ვიზიტორებს **მასპინძლობს / მასპინძლობა**. ისრაელიდან საქართველოს ეტლით მოსარგებლე ვიზიტორები ეწვივნენ, რომლებმაც სილნალი, თელავი, ყვარელი, გორი, ბორჯომი, რაბათი, ვარძია, წყალტუბო და ბათუმი **დაათვალიერა / დაათვალიერეს**. ინკლუზიური ტურიზმი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისათვის ერთ-ერთი **პრიორიტეტული / პრიორიტეტი** მიმართულებაა. ადმინისტრაცია ორიწელია **ინტენსიურობით/ინტენსიურად** მუშაობს ტურიზმის ამ დარგის **განვითარებაში /განვითარებისთვის**, მათ შორის აატრენინგები და ინფრასტრუქტურული პროექტები. უახლოეს **მომავალში / მომავლისთვის** მცხეთა ინკლუზიური ტურიზმისთვის **სრულიად / სრული** ადაპტირებული იქნება. ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ კახეთში სილნალის, ყვარლისა და თელავის მუნიციპალიტეტებთან ერთად ინკლუზიური ტურისტული პაკეტები **შეიქმნა / შექმნა**.

4. წაიკითხეთ ნიმუში და შექმენით წინადადებები მოცემული ფორმებისათვის:

განვითარებული - განსავითარებელი	<i>ტურიზმი საქართველოში ამ ეტაპზე საკმაოდ განვითარებულია, მაგრამ ინკლუზიური ტურიზმი ჯერ კიდევ განსავითარებელია.</i>
ჩამოყალიბებული - ჩამოსაყალიბებელი	
დაწყებული - დასაწყები	
შექმნილი - შესაქმნელი	
გაკეთებული - გასაკეთებელი შესწავლილი - შესასწავლი	
გაუმჯობესებული - გასაუმჯობესებელი	
შეკეთებული - შესაკეთებელი	
დაგეგმილი - დასაგეგმი	
შეთავაზებული - შესათავაზებელი	

5. შეავსეთ ცხრილი ზმნის ფორმებით:

ამჟამად	მომავალში	შეიძლება	ჯერ არ
სთავაზობენ	შესთავაზებენ	შესთავაზონ	შეუთავაზებიათ
მთავრდება			
	დასრულდება		
		მოეწყოს	
			დადგმულა
ჩადიან			
	გაკეთდება		
		დაიწყოს	
			გაგრძელდება
იცვლება			

6. დაუკვირდით ნიმუშებს და შეადგინეთ წინადადებები შესაბამისი ფრაგმენტოლოგიური გამოთქმების გამოყენებით:

ხელს აწერს (ის) ხელი მოაწერა (მან) ხელი უნდა მოაწეროს (მან) ხელი არ მოუწერია (მას)	იზრდება ინტერესი გაიზრდება ინტერესი უნდა გაიზარდოს ინტერესი არ გაზრდილა ინტერესი	აქტუალობას არ კარგავს (ის) აქტუალობა დაკარგა (მან) შეიძლება აქტუალობა დაკარგოს (მან) აქტუალობა არ დაუკარგავს (მას)
---	---	---

1. მინისტრმა რამდენიმე თვეში **ხელი უნდა მოაწეროს** ახალ კანონპროექტს.
2. ინკლუზიური ტურიზმის განვითარების საკითხი ნამდვილად **არ კარგავს აქტუალობას**.
3. საქართველოსადმი მართლაც ყოველწლიურად **იზრდება ინტერესი**.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

7. დაუკვირდით ნიმუშს, წარმოადგინეთ ზმნის აქტიური ფორმები პასიური ფორმებით და გამართეთ წინადადება:

ნიმუში: წლების განმავლობაში ტურიზმის დეპარტამენტმა ჩამოაყალიბა ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა.

წლების განმავლობაში ტურიზმის დეპარტამენტის მიერ ჩამოყალიბდა ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა.

1. საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებმა განახორციელეს არაერთი პროექტი.

2. ტურიზმის დეპარტამენტმა მოამზადა ახალი კანონპროექტი.

3. პარლამენტმა საკითხების განხილვა გააგრძელა.

4. დაწესებულებამ ახალი სამოქმედო გეგმა მოამზადა.

5. მინისტრმა შეხვედრები გამართა კომპანიის წარმომადგენლებთან.

8. მიუწერეთ ზმნის აქტიურ ფორმებს პასიური ფორმები:

ჩამოაყალიბა მან ის	ჩამოყალიბდა ის
განავითარა მან ის	
დაასრულა მან ის	
გააგრძელა მან ის	
მოამზადა მან ის	
დაგეგმა მან ის	
დახარჯა მან ის	
განახორციელა მან ის	
შექმნა მან ის	
წარმოაჩინა მან ის	
განაახლა მან ის	
ჩაატარა მან ის	

9. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფორმების გამოყენებით:

გაკეთდა**ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა ტურიზმის განვითარებისთვის.**

მოიწვიეს

ესტუმრნენ

ინკლუზიური ტურიზმის განვითარებისადმი მიძღვნილი მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია ბათუმში გაიმართა. ინკლუზიური ტურიზმი — ტურისტული ღონისძიებების სახეობაა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების აქტიურ დასვენებას გულისხმობს. „ტურისტებისათვის მიმზიდველ ადგილებში მნიშვნელოვანია ადაპტირებული გარემოს შექმნა, ინკლუზიური ტურიზმის მოთხოვნების გათვალისწინებით კი მცხეთა-ჩვენ მთლიანად ადაპტირებული გავხადეთ, გაზაფხულიდან კი ამ მიმართულებით წყალტუბოს ადაპტაციის პროექტი დაიწყება“, — განაცხადა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი ჩოგოვაძემ. მისი თქმით, უწყება ქვეყნის მასშტაბით ინკლუზიური ტურისტული ტურების შექმნაზე მუშაობს, ხოლო სიღნაღის, ყვარლისა და თელავის რაიონულ ადმინისტრაციებთან ერთად მომზადდა სპეციალური ტურისტული პაკეტი შშმ პირებისთვის. ქვეყანამ, რომელიც ტურისტული სეგმენტის განვითარებაზე პრეტენზიას აცხადებს, უნდა გაითვალისწინოს მსოფლიოში დანერგილი ყველა სტანდარტი, მათ შორის გააფართოვოს ინკლუზიურ ტურიზმზე მორგებული ტურისტული ობიექტების რიცხვი.

This image shows a full page of white paper with horizontal dotted lines. The lines are evenly spaced and run across the width of the page, providing a guide for handwriting practice. There are no margins, text, or other markings on the page.

შემაჯავებელი ტესტი II (თავები 4, 5, 6)

(100 ქულა)

1. დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვა და განმარტება:

15 ქულა

1. ხეობა	ა) გარკვეული თემის მიხედვით შედგენილი გამოფენა
2. ჯომარდობა	ბ) საჩვენებლად და დასათვალიერებლად გამოტანილი და გარკვეული სისტემით დალაგებული ნივთები
3. ნაკრძალი	გ) ძალიან იშვიათი, ის, რაც უნიკუმს წარმოადგენს, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე
4. ტოლერანტობა	დ) საუკეთესო, სრულყოფილი, საუცხოო, სამაგალითო, შესანიშნავი, იდეალთან მიახლოებული.
5. სტიმული	ე) სპეციალური ადგილები განსაკუთრებული სამუშეო ნივთების შესანახად
6. ექსკურსიამძღოლ	ვ) რისამე ფართო მასებში გავრცელება, ყველასათვის ხელმისაწვდომად ქცევა
7. თემატური გამოფენა	ზ) წინასწარ დასახული გზა, გასაჩერებელი პუნქტებისა და დროის აღნიშვნით
8. ექსპოზიცია	თ) ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი მეორეში
9. ფონდი	ი) იგივეა, რაც გიდი. ადამიანი, რომელიც ტურისტულ ჯგუფს გარკვეულ ინფორმაციას აწვდის.
10. პოპულარიზაცია	კ) ვიწრო გზა, სიარულისაგან გაჩენილი
11. უნიკალური	ლ) სხვისი აზრების, რწმენის შემწყნარებლობა
12. იდეალური	მ) ექსტრემალური გართობა დაშვება გასაბერი ნავით მთის მდინარეებზე.
13. მარშრუტი	ნ) რაიმე მოქმედებისათვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი
14. ელჩი	ო) სპეციალური ადგილი იშვიათი მცენარეებისა და ცხოველების მოსაშენებლად და დასაცავად
15. ბილიკი	პ) ადგილი მთებს შუა, მდინარის გასწვრივ

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15					

2. დაუკავშირეთ ერთმანეთს სინონიმები – მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები:

10 ქულა

1. შესწავლა	ა) მუდმივად
2. განკურნება	ბ) კვლევა
3. პოტენციალი	გ) უსაფრთხო
4. ფუნქციონირებს	დ) დადებითი
5. ცნობილი	ე) გამოჯანმრთელება
6. მოულოდნელი	ვ) უეცარი
7. გამუდმებით	ზ) მოქმედებს
8. დარგი	თ) განთქმული
9. დაცული	ი) შესაძლებლობა
10. პოზიტიური	კ) სფერო

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

3. მოცემულ წინადადებებში ხაზგასმული სიტყვა შეცვალეთ შესაბამისი ანტონიმით:

15 ქულა

1. ტურიზმის სწრაფი განვითარება მნიშვნელოვნად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.
2. ტურისტთა შემოსვლა წლიდან წლამდე იმატებს იმის მიხედვით, თუ რამდენად არის ქვეყანაში დაცული უსაფრთხოების ზომები.
3. ტურისტები მოგზაურობენ იმიტომ, რომ ნახონ ის ნაცნობი ადგილები, რომლებიც ქვეყნის კულტურაში ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს.
4. უსაფრთხოების წესების დაცვა აუმაღლებს ტურისტთა შემოღინების პროცესს ქვეყანაში.
5. წარმატებული პოლიტიკა პირდაპირ ახდენს გავლენას ტურისტთა რაოდენობაზე ქვეყანაში.
6. ტურისტები ხშირად მომართავენ ტურისტულ სააგენტოებს.
7. მარტის თვეში ტურისტების უმრავლესობა ახალგაზრდები იყვნენ.
8. საკმაოდ ხშირად იგეგმება ინდივიდუალური ტურები.
9. ექსკურსიამდლოლი გამოცდილი გიდი იყო.
10. ტურიზმის პოლიტიკის მართვა შესაძლებელია.
11. ქვეყანაში უფრო და უფრო მეტია უცხოელი ტურისტები.
12. ქვეყანაში ბევრი კერძო კომპანია გაიხსნა.
13. ტურიზმის შესახებ კანონპროექტში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა.
14. ამჟამად საავტომობილო გზები ქვეყანაში გადატვირთულია.

4. შეარჩიეთ სწორი სიტყვა:

10 ქულა

- ქვეყნის კულტურისათვის მეტად მნიშვნელოვანია ძველი ისტორიული დოკუმენტების
..... (შესწავლა, შესწავლილი)
- ეს ადგილი საოცრადმნახველს თავისი სილამაზით. (ამშვიდებს, დამამშვიდებელი)
- კარგადსამუშაო ადგილებს მუშაობის პროცესს. ((დაგეგმვა, დაგეგმილი)
- კომპანიების მიერტურები ბევრ დაინტერესებულ პირს იზიდავს. (შეთავაზება, შეთავაზებული)
- ამ ეტაპზედოკუმენტები მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის ისტორიისათვის.
(შესწავლა, შესწავლილი)
- ტურიზმის ნამდვილად შესამჩნევია ბოლო რამდენიმე წლის მონაცემების ანალიზით. (განვითარება, განვითარებული)
- ამ ადგილისგავლენა მნახველზე მართლაც საინტერესოა. (დამშვიდება, დამამშვიდებელი)
-ტურიზმი და ქვეყნის წარმატებული ეკონომიკა ნამდვილად დაკავშირებულია ერთმანეთთან. (განვითარება, განვითარებული)
- პროცესებისკარგად აისახება შედეგებზე. (დაგეგმვა, დაგეგმილი)
- ტურისტული კომპანიის მოვალეობაა დაინტერესებული პირებისათვის ბევრი და მრავალფეროვანი ტურების (შეთავაზება, შეთავაზებული)

5. ჩასვით გზის სწორი ფორმა:

10 ქულა

	საწყისი	ახლანდელი დრო	მომავალი დრო	წარსული დრო	უნდა / არ უნდა	თურმე
1.	მომზადება	ამზადებს მას ის				
2.		იგეგმება ის				
3.			ჩატარდება ის			
4.				გაიმართა ის		
5.					დაიხარჯოს ის	
6.						შეუძენია მას ის
7.	ჩამოყალიბება	აყალიბებს მას ის				
8.		ამზადებს მას ის				
9.			დაიწყებს მას ის			
10.				აღმოაჩინა მან ის		

6. ჩასვით სწორად ფრაზოლოგიური გამოთქმა:

5 ქულა

არაფრით ჩამოუვარდება	ბიძგს მისცემს	კულტურას ეზიარებიან
1. პარლამენტარებთან შეხვედრა და ტურიზმის საკითხებზე საუბარირეგიონში ტურიზმის განვითარებას.		
2. ქართული სამზარეულოფრანგულ სამზარეულოს.		
3. ტურისტები ამ ტურის საშუალებით ამ საინტერესო ქვეყნის		
4. პრეზიდენტის სტუმრობადაახლოების პოლიტიკას.		ორი ქვეყნის
5. ახალი პროექტის საშუალებით დამეგობრდებიან ორი ქვეყნის ახალგაზრდები და სტუდენტები ორივე ქვეყნის		

7. წაიკითხეთ წინადადებები და გამოთვებული სიტყვები ჩასვით სწორი ფორმით და შეარჩიეთ სწორი დაბოლოება: –თან ერთად, –იდან, –ში, –ისათვის, –ობით, –დ: 10 ქულა

1. საქართველო იუნესკოს სრულფასოვანი წევრია 1992 (წელი);
2. მატერიალური კულტურის , არსებობს არამატერიალური კულტურის ძეგლების ნუსხაც, რომელშიც არის ქართული ანბანის სამი სახეობა. (ძეგლები)
3. ტურიზმის საქართველოში ბევრი კარგი რესურსია. (განვითარება)
4. საქართველოს ხშირად იხსენებენ ვაზის , რადგან აქ ვაზის ხუთასამდე ჯიშია დადასტურებული. (სამშობლო)
5. ტურისტული კომპანიების რამდენიმე ისეთი კომპანია შედის, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივ ტურისტებს ემსახურებიან. (სია)
6. კახეთში ტრადიციულად იმართება ღვინის ფესტივალი, რომელსაც უამრავი სტუმარი ესწრება. (შემოდგომა)
7. მსოფლიოში ცნობილი ვაზის ორი ათასიდაახლოებით ხუთასამდე ქართული ჯიშია, რაც ამ ქვეყნის მნიშვნელობას ზრდის ღვინის წარმოებაში. (ჯიშები)
8. ტურისტებმა სამცხე-ჯავახეთის რამდენიმე ადგილი დაათვალიერეს. (ექსკურსიამძღოლი)
9. მეტად მნიშვნელოვანია უსაფრთხო გარემო და კარგად შედგენილი ტურისტული მარშრუტი. (ტურისტები)
10. ქუთაისამდე ტურისტები რამდენიმე ადგილას შეჩერდნენ და უძველესი არქიტექტურული ძეგლები დაათვალიერეს. (თბილისი)

8. წაიკითხეთ ტექსტი და ჩასვით მოცემული სიტყვები სათანადო ადგილას:

5 ქულა

შეტანილია	განათლების	აშენებული	ხეობაში	მოხატული
გელათის მონასტერი ქართული ხუროთმოძღვრული ანსამბლი, შუა საუკუნეების საქართველოს უმნიშვნელოვანესი ცენტრია. იგი მდებარეობს ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდინარე წყალწითელას დაარსებულია 1106 წელს ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის მიერ. ანსამბლში შედის სხვადასხვა დროს შენობები. აქ არის დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის აკადემია, რომელმაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. გელათის აკადემია იყო ცენტრი, რომელშიც ცნობილი ქართველი მეცნიერები მოღვაწეობდნენ. აკადემიას სამი შესასვლელი ჰქონია, მოგვიანებით კი მდიდრულად მორთული კარიბჭე მიუშენებიათ. კედლების გასწვრივ ქვის დასაჯდომები იყო გაყოლებული. შენობის კედლები ყოფილა. გელათის მონასტრის გალავნის სამხრეთით, მთავარ შესასვლელში დავით აღმაშენებლის საფლავია. ამავე ტაძარში შემონახულია დავით აღმაშენებლის ერთადერთი ფრესკა, რომელსაც ხელში ეკლესიის მოღვაწე უჭირავს. გელათი იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში.				

9. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

10 ქულა

საქართველოს 7 ყველაზე პოპულარული ადგილი უცხოელი ტურისტებისათვის

1. საქართველოში ყველაზე მეტი უცხოელი სტუმარი აჭარის ულამაზეს ქალაქს ბათუმს ჰყავს. ბათუმი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს საერთაშორისო ნავსადგურია. ბათუმში ყოველწლიურად იმართება საერთაშორისო ჯამ-ფესტივალი. არაერთი ცნობილი მუსიკალური ვარსკვლავი სტუმრობს ბათუმს, მთელი წლის მანძილზე იმართება კონცერტები და ფესტივალები. ამ ქალაქში ტურისტები უამრავ სიძველეს ხედავენ. აქაურ მუზეუმებში დაცულია ექსპონატები, რომელთა ნაწილიც ქვის ხანით თარიღდება. ბათუმში და მთლიანად აჭარაში ტურიზმის თითქმის ყველა სახეობაა განვითარებული. აქ შესაძლებელია ფრინველების გადაფრენა დაკვირვება და სხვა ბევრი საინტერესო რამის კეთება.
2. უცხოელი ტურისტების დაინტერესების კუთხით თბილისი მეორე ადგილს იკავებს ბათუმის შემდგომ. აქ მთელი წლის მანძილზე ათასობით საერთაშორისო ტურისტი ჩამოდის. სტუმრებს განსაკუთრებით იზიდავთ ძველი თბილისის ინტერნაციონალური სახე, თავისებური არქიტექტურა და ვიწრო ქუჩები.
3. საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა ნამდვილი სავიზიტო ბარათია ჩვენი ქვეყნისათვის. მცხეთა თავის მნიშვნელობით, გეოგრაფიითა და სილამაზით სამუდამოდ რჩება ტურისტების მეხსიერებაში. მცხეთის ისტორიული ძეგლები ადაპტირებულია შემოდგომის შესაძლებლობების მქონე პირებისთვისაც. მცხეთის შთაბეჭდილებებს ავსებს ტურისტების აღფრთოვანება საკვებით, რომელიც შეიძლება მიირთვათ აქაურ რესტორნებში. ცნობილია მცხეთური საღობი და მცხეთური ღვებელები.
4. ქუთაისი დიდი ისტორიის ქალაქია. დიდი ისტორიის გარდა ქუთაისი მნახველებს იზიდავს სტუმართმოყვარეობითაც. ქუთაისში მდებარეობს იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი გელათის მონასტერი. აქვეა სათაფლიის მღვიმე და დინოზავრის ნაკვალევი. ქუთაისში ვხდებით ერთ-ერთი უძველეს სინაგოგასაც.

5. სტეფანწმინდა, ანუ ყაზბეგი გამორჩეულად ლამაზი ადგილია საქართველოში. საოცარი მთის კლიმატი და მინერალური წყლები კიდევ უფრო მიმზიდველად აქცევს ამ ულამაზეს კუთხეს. ეს მხარე განსაკუთრებით საინტერესოა ეკოტურიზმის კუთხით. ხეობების ულამაზესი ბუნებისა და ისტორიული ძეგლების გარდა უცხოელ ტურისტებს ხიბლავთ ქართული სოფლის მოსახლეობის ტრადიციული ცხოვრების ნახვა.
6. ბორჯომი მესხეთისა და თრიალეთის ქედების მარადმწვანე ფერდობებს შორის მდებარეობს ზღვის დონიდან 800-1000 მეტრის სიმაღლეზე. ბორჯომის მთავარი ღირსება საოცარი ჰავა და ცნობილი მინერალური წყლებია. ბორჯომი ერთ-ერთი საუკეთესო და უნიკალური კურორტია საქართველოში. აქვე გვხვდება ლიკანი, სადაც ჯერ რომანოვების რეზიდენცია იყო, მოგვიანებით სტალინიც ისვენებდა.
7. ბოლო წლებში ძალიან ბევრი უცხოელი სტუმრობს საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს ციხე-ქალაქ სიღნაღს. ტურისტებისათვის სიღნაღში თითქმის ყველაფერია - ძველი ციხე-გალავანი, ლამაზი სახლები, წითელი აგურით ნაშენი კედლები, მარნები და რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩები. სიღნაღს სიყვარულის ქალაქსაც უწოდებენ. აქ არის წარმოდგენილი ქართული ფულის ისტორიის მუზეუმი. აქ ტურისტს შეუძლია წლის ნებისმიერ დროს საყვარელ ადამიანზე დაქორწინდეს.

უპასუხეთ შეკითხვებს:

1. სადაა განვითარებული ეკოტურიზმი?
.....
2. რომელი ქალაქია ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვის?
.....
3. რომელ ქალაქს უწოდებენ სიყვარულის ქალაქს?
.....
4. სადაა ყველაზე მეტი ტურისტი საქართველოში?
.....
5. სად შეიძლება ქართული სოფლის მოსახლეობის ტრადიციული ცხოვრების ნახვა?
.....
6. სად იმართება საერთაშორისო ჯაზფესტივალი?
.....
7. სადაა ცნობილი მინერალური წყლები?
.....
8. რომელი ქალაქია ტურისტების დაინტერესების თვალსაზრისით მეორე ადგილზე?
.....
9. სადაა სალობიე?
.....
10. რომელ ქალაქთან არის ახლოს დინოზავრის ნაკვალავი?
.....

(.....) რატომ ფიქრობ ასე?

115



დაუკვირდით რუკას და ისაუბრეთ რეგიონის შესახებ:

1. სადაა ეს რეგიონი?
2. რომელი კუთხეები ესაზღვრება რეგიონს?
3. იპოვეთ ინტერნეტში ინფორმაცია (მაგალითად, ვიკიპედიაში) ამ რეგიონის მოსახლეობის, ადმინისტრაციული ცენტრის, ქალაქებისა და სოფლების შესახებ.
4. მოიძიეთ ინფორმაცია, რომელი ადგილებია ტურისტებისათვის საინტერესო ამ რეგიონში?
5. დაგეგმეთ ტური რეგიონში მოგზაურობით დაინტერესებული პირებისათვის.
6. რა მარშრუტს შეადგენდით თქვენი ტურისტული ჯგუფისათვის? დაასაბუთეთ, რატომ.
7. მოიპოვეთ ინფორმაცია თქვენს მარშრუტში შემავალი ადგილების შესახებ.
8. შეადგინეთ ტექსტი ტურისტებისათვის: რა ინფორმაციით დაიწყებდით საუბარს ტურისტებთან?
9. რა ინფორმაციას მიაწვდით მათ ამ ადგილების შესახებ?
10. გააცანით ჯგუფს გიდის ტექსტი.



ბარაკონის ღვთისმშობლის ეკლესია



მრავალძალი

მოსასმენი ტექსტი:

1.3. მოგზაურობის ფორმები

- ერთდღიანი ტური ბორჯომში!
ტურის ფარგლებში მოვინახულებთ:
- ბორჯომის ეროვნულ პარკს, მწვანე მონასტერს და ახალციხეს (რაბათი)
გამოცდილი მძღოლი, მაქსიმალურად დატვირთავს ტურს როგორც სანახა-
ობრივად, აგრეთვე ინფორმაციულად, ამავე დროს, იბრუნებს თქვენს უსაფრთხოებაზე.
- ტურის დაწყების ადგილი და დრო შეთანხმებით.
- მანქანაში არ ვეწევი!
- ნორმის ფარგლებში ალკოჰოლის მიღება შეიძლება, მაგრამ არაა სასურველი.
- არ ვანაგვიანებთ გარემოს!
არჩეული ტურით და ჩვენთან ურთიერთობით დარჩებით ნასიამოვნები. ჩვენი მანქანები მოიხმარს
მხოლოდ საწვავს და ტექნიკურად გამართულია..
- მითითებული თანხა შეადგენს ერთდღიანი მგზავრობის საფასურს.
- ტურში წამოსვლა შეუძლია მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 7 ადამიანს. იმ შემთხვევაში, თუ მგზავრთა
რაოდენობა არ აღემატება 5 პერსონას, საფასურია 250 ლარი. 6 ან 7 პერსონა 280 ლარი. (ეს არის
მთლიანი ტურის ღირებულება და არა ერთი პერსონის)
- დამიკავშირდით ნებისმიერ დროს.